

The background image shows a seagull in flight against a backdrop of a dark blue sky filled with white and grey clouds. Below the sky is a dark, textured surface of water with small white caps. In the far distance, a range of dark mountains or hills is visible.

მარა ძებისაშვილი

# თოლია



მაია ძებისაშვილი

# თოლე

თბილისი – 2015

ISBN 978-9941-0-7982-5

## კლდე

კლდე ვარ სალი, არწივების საბუდარი,  
რუხი მკერდი განგებისთვის მიმინდია,  
ცივ სიპებზე მართვეები ბრჭყალს ილესენ,  
შავი გული ვერ მომიკლა ცხელმა ტყვიამ.  
ცივა გარეთ, სოხუმს ათოვს თეთრი ღამე,  
ფიქრიც არ მსურს, ღამეს როგორ ვუდარაჯო;  
ვდგავარ ქარში, შეუცვლელი ჯარისკაცი,  
რად დამტოვეთ უქუდოდ და უფარაჯოდ?!  
იყო ომი, დევნილთათვის ვიყავ ფარი;  
ტყვეც ვიყავი, მაგრამ მოძმე არ გავეცი,  
ბებერ გულში შევინახე დროშა ძველი  
და არწივებს შეუცვლელი გადავეცი.  
იქნებ, ერთხელ გაგახსენდეთ ცივი ძმები,  
მე ხომ თქვენთან ერთად გვერდში მიპრძოლია,  
კლდემ ვერავინ გავიმეტე მოსაკლავად,  
ბეჩავს ტყვია ერთხელაც არ მისროლია...  
მკერდზე დამრჩა ბევრი შავი ნატყვიარი,  
მოგონებებს ვერ ვიშორებ მე თავიდან,  
თუ გაჭირდა, ომებს კიდევ გადავიხდი,  
მაგრამ, ძმებო, უთქვენობას ვერ ავიტან!

## პაატა

დუშეთის ბატალიონი, სისხლი, ცრემლი და სიონი...

ბაზალეთის ტბა, გუმისთა, ალაზანი და რიონი.

სანთელ-საკმელი, ძაძები, გოდება, დედის ჭალარა,

დადუმებული კერები, მუნჯი დაფი და ნაღარა.

შავი ჩამოწვა ნისლები აქ, ძმათა სასაფლაოზე

და გაილეშნენ სვავები სისხლიან სასაკლაოზე.

ვერ ამოვდივარ სანგრიდან, აქედან ვდგავარ დარაჯად,

ვერც გავიხადე ჩაცმული დედის ნაკერი ფარაჯა.

მე ვერ დავპრუნდი დუშეთში, ვეღარა ვნახავ ბაზალეთს,

შენ კი დამდგარხარ, ატყუებ, აღმოსავლეთს და დასავლეთს.

„წინ, წინ გასწითო!“ — ყვიროდი, მერე სულ უკან გვატარე,

იმდენი იმეცადინე, რომ მტრის ხახაში ჩაგვყარე.

ვიბრძოდით, როგორც ლომები, ახლაც ბრძოლა გვაქვს ზამთართან,

ვერ მოველ დამარცხებული, მე დედამ ასე გამზარდა.

დამიცვდა ჭრელი წინდები, რომ დამიქსოვა სწორფერმა,

მშობელმა დარდს ვერ გაუძლო და დამიტირა სოფელმა.

გულის ჯიბეში მიცვდება, თინიკო, შენი სურათი,

ვაი, თუ აღარ გიყვარვარ, ვაი, თუ გამიგულადდი.

დედის ნაწერი წერილი, ზედ ცრემლია თუ მელანი,

დიდი ხანია, აქა ვარ და მენატრებით ყველანი.

რამდენი გული გაჩერდა, ვერ ნახვენ მამა-პაპანი,

რამდენს დაურჩა კერია, ვერდარწეული აკვანი.

ტირის, თმებს იშლის შავი ზღვა, ვერაფრით გამოგვიგლოვა,

ცივი კლდის პატიმარი ვარ, ჩემს დასახესნელად ვინ მოვა?

ამაყი ბიჭი ვიყავი, გულიცა მქონდა დიდია,

პატარა ტყვიამ მაჯობა, ქვეყანამ ვერ დამიტია,

მე არც მიცდია გაქცევა, აქ არის ჩემი სიონი,

სადაც უწყალოდ ჩახოცეს დუშეთის ბატალიონი.

დუშეთს ვერ მოველ ვალმოხდით, აქ დაჰკურა ჩემმა საათმა.

აქ ვრჩები საქართველოსთვის თავშენირული პატა!

## თოლია

რამდენი ხანია, აღარ მინახია,  
როგორ მენატრება ზღვა,  
მე ამ მონატრებას თოლია დავარქვი,  
რა უნდა ვუწოდო სხვა.

როგორ მომენატრე, ვეღარ ვძლებ უშენოდ,  
უშენოდ ვერ ვცოცხლობ, მოვკვდები მგონია,  
შორიდან გკოცნი და შორიდან გეხვევი,  
როგორც უშენობით დაღლილი თოლია.  
ჩურჩულით მიჰყვება ჩუმი ზღვა ნაპირებს,  
მე ვეღარ გიხილავ ვერასდროს, მგონია,  
მინდა, გადმოვფრინდე როგორმე შენამდე,  
ტალღებში ჩავეშვა ვით თეთრი თოლია.  
თითქოსდა, შორიდან მომესმა შენი ხმა,  
თითქოსდა, ხელს მიქნევს თეთრი მაგნოლია,  
მე ამ მონატრებას თოლია დავარქვი,  
უშენოდ დაღლილი, ეული თოლია.

\*\*\*

თოვს და თოვლში აღარ მოჩანს ხიდი.  
დგას სოხუმი, ვით დაჭრილი გედი,  
შავი ფიქრი შესჩვევია ისევ,  
ნლები მიდის დუმილის და სევდის.  
ჩემს ფიქრებში შემორჩენილ ქალაქს  
ცივ ფილებზე გაცოცხლებულ დუმილს,  
ხიდის იქით მოქვითინე დედას,  
ალბათ, ვერვინ გაუნელებს ტკივილს.  
ხიდის აქეთ ვერ ვიკავებ ცრემლებს,  
ხიდის იქით მიეყინა მთვარე,  
როგორ იქცა მოხებულ მექად  
ეს, ყველასთვის საოცნებო მხარე.  
სიყვარული გამიფრინდა ცაში,  
რწმენა მექცა ბორკილად და ზღუდედ,  
იმედილა შემრჩენია ხელში,  
დავიბრუნო ბედნიერი ბუდე.

\*\*\*

თითქოს, ვიღაცას მოველი შორით,  
ნაპირს ასკდება ტალღა მქუხარე;  
ორნი ისმენენ მოთქმას და გლოვას,  
მთვარე მტირალი და მზე მწუხარე.  
ეს ქვიშა ძმათა სისხლმა დაფერა  
ისევ თბილია ნაპირი, თითქოს,  
წამოუბერავს ცივი ზამთარი  
და თოლიები ცივ ფეხებს ვითბობთ.  
მე თოლია ვარ, თეთრი თოლია,  
მარტოს წაპირზე მიკვნესის გული  
ვერსად წავედი, შემოვრჩი ქალაქს,  
აქ მიტოვებულ საფლავებს ვუვლი!

\*\*\*

ენგურის წაპირს ტკივილით დაღლილს,  
ცრემლისგან დამწვარს, მოარულ აჩრდილს.  
ენგურის იქით გაზომილ მანძილს,  
ოდას შერჩენილ ცარიელ აკვანს  
და მუზარადში ამოსულ იებს,  
სამურზაყანოს ტყვედ გადაცემას  
შთამომავლობა არ გვაპატიებს!..

## ის ბიჭები

ზღვის წაპირზე დაფარფატებს ფერფლისფერი თოლია,  
თავს ფიქრები დასტრიალებს, დარდი შემოსწოლია.  
ის ბიჭები, ალვის ტანნი რომ მიჰვავდნენ გოლიათს,  
თეთრ ნისლებში გაცრეცილან — ქარებს გადაჰყოლიან...  
მათი სისხლით დაფერილა სანაპირო ზოლია  
და ბილიკებს მარტო ტკეპნის ფერფლისფერი თოლია.

## უსოხუმოდ

გინდაც ეცადო; წარსულს მაინც ვერ დაიბრუნება!  
ენგურის ნაპირს კოცნად შერჩა შენი ბავშვობა,  
უმისამართოდ გაფრენილი წლები ლამაზი  
და ხიდის იქით დარჩენილი ახალგაზრდობა.  
გაზაფხულია, ბრუნდებიან ბუდეს მერცხლები  
და თოლიები ზღვის ნაპირზე კენჭებს ითვლიან,  
ო, ღმერთო ჩემო, მომეც ფრთები, რომ გადმოვფრინდე  
ამდენი ხანი, უსოხუმოდ არ შემიძლია!!!

## მოკლული ჩიტი

მზეს თითქოს წამით ჩასძინებოდა,  
როგორც არასდროს, ზღვა იყო მშვიდი.  
იდგა დაისი. ქვიშაზე იწვა,  
სოხუმი, როგორც მოკლული ჩიტი.  
ძმათა გაცემის, ძმათა დაცემის,  
უღვთო ღალატის მოწმე პირველი,  
იწვა და შველას აღარ ელოდა,  
იდგა სიჩუმე გასაკვირველი.  
სამგლოვიაროდ დუმდნენ პალმები,  
აცრემლებულან მაგნოლიები,  
მკლავნარკვეთილი ევკალიპტები  
და საფლავებზე ლურჯი იები.  
ო, როგორ მინდა, ხმა მქონდეს მჭექი,  
როგორც ავდრის დროს ელვა და მეხი,  
გამოვალვიძო მოკლული ჩიტი,  
სოხუმში კიდევ დავადგა ფეხი.  
და როგორც ცოდვა ნაპატიები,  
თეთრ ობელისკებს შვენის ისები,  
ტანს აიყრიან ევკალიპტები,  
აყვავდებიან მაგნოლიები!..

\*\*\*

რამდენ სიცოცხლეს დაეხურა მძიმე კარები;  
დაფნის გვირგვინი კი სატანას მიაქვს ხარხარით!..

\*\*\*

სხვაგან სად არის ცის ასეთი კრთომა, ლაჟვარდი,  
როგორც აქ არის, სიმწვანეში, მამადავითზე,  
თითქოს, დაცლილი ვიყავ გრძნობა-ფიქრებისაგან,  
ამოველ ახლა და სხეული შუქით აღმივსე.  
თუ ქარია და შიშით კრთიან ჩრდილები ხეთა,  
სულ არ შემაკრთობს შარიანი ქარის თარეში,  
აქ საფლავები ბუმბერაზთა მელიან დევნილს,  
როგორც გაყიდულ მამელუქებს უცხო მხარეში.  
აქ წვიმაც ჩოქვით ეახლება წმინდა საფლავებს,  
ხმას გამოსცემენ მის ქვითინზე ცივი ლოდები,  
მზე სხივებს აწვდის მისართმევად მიმქრალ გვირგვინებს  
და შემოდგომას ხარკად მოაქვს ოქროს ფოთლები.

\*\*\*

ჩემი ცხოვრება ჩუმი ფიქრია  
და ჩემს ფოთლებში ქარი ისვენებს,  
დრო ულმობელი შემოაცლის ფოთლებს,  
მერე ხომ ქარიც არ გამიხსენებს.  
ვიდგმები მარტოდ — ცხოვრება მიდის,  
როგორც ვყოფილვარ, აღარ ვიქნები  
და მწყდება გული, ვერავის ვუთხარ  
ჩემი ოცნება, ჩემი ფიქრები.  
იტყვიან, იყო, იდგა საწყალი,  
და მწუხარებით უდროოდ გახმა,  
ან რისთვის მოველ წუთისოფელში,  
ვინ დამპატიუა, ღმერთმა თუ ხალხმა?!

## ალაზნის ველი

ლამენათევი, ნაწამები ლრუბელი ცაზე  
ნამტირალევი, ნამთვრალევი, ალიონს ხვდება,  
მზე ეფინება, სველ წამნამებს აუფერადებს,  
აავსებს შუქით, მერე შუქი გადმოიღვრება.  
შეიშმუშნება, პირს დაიბანს სველი ბილიკი,  
ცა აენთება ლაუვარდისფერ-ზღვისფერ-ცისფერად,  
დღე აჩქამდება, ჩუმი ხმები ტყეს გადაუგლის  
და ყურს მისწვდება მომაკვდავი გედის სიმღერა.  
დაღლილი ქარი ბებერ ვერხვზე ფრთებს შეისწორებს,  
თან შემოავლებს ალაზნის ველს მზერას ვნებიანს,  
სადაც წყალდაწყალ ხეტიალი არ მოსწყინდება  
და ნეკერჩლები ჭალებს წითლად შემონთებია.

\*\*\*

საქართველოში დაბადებულმა,  
დაბერებულმა შოთას ლექსებით,  
გალაკტიონით ენაადგმულმა  
მე ვით დავწყევლო ჩემი ფესვები.  
რა ვქნა, სხვა ქვეყნის ცა მე არ მინდა,  
თუმც ვაჟაობენ, მაგრამ არიან?..  
ქართული ზეცა დამყურებს თავზე,  
როგორც ფშავური ქალალაია...

\*\*\*

რა ფერებია, ნაფერებია,  
ლამე ბნელია? რწმენა ძნელია,  
ისე ანათებს ვარსკვლავთა ჯარი  
და სადღაც ისე მოსთქვამდა ქნარი.  
ნარმოვიდგინე, მე ვიყავ ღმერთი  
და არა, ვიღაც, მოკვდავი ქალი,  
მივხვდი, რატომდაც შემეძრა სული,  
მივხვდი, ვფიცავარ საფიცარს იმნამს,  
რატომ აგკიდეს შენ მძიმე ჯვარი,  
რად გეძახიან ღმერთების მიწას!

## თბილისი

შენს ოთახში დაღლილ ტიტებს ისევ ძინავთ,  
განთიადი კი სარკმელთან თვლემს,  
ცისკრის ვარსკვლავს, თითქოს, თავი დაუხრია  
და ბულბული წალვლიანად სტვენს.

შენ გელიან, უშენობას ვერ უძლებენ,  
მოლოდინში ჩამომჭკნარან ტიტები,  
მენატრება შენი მზერა საოცარი,  
მენატრება შენი ნაზი თითები.

სპილენძისფერ მთვარეს ფერი წასვლია და  
დღე წანვიმარ ქვაფენილზე გდია,  
ჩემმა კვნესამ ტიტებს თვალი აუცრემლა  
და ამ ცრემლებს მონატრება ჰქვია.  
მზე ამოდის, ღამის თბილისს ვეთხოვები,  
ოქროს სხივებს მოუქარგავს მთაწმინდა,  
ვხვდები, უკვე საბოლოოდ რომ გშორდები,  
მაგრამ შენი დავიწყება არ მინდა.

\*\*\*

ჩუმი სანთლები იცრემლებიან,  
კრთომით ქრებიან,  
ნდომით კვდებიან  
და შენს ნაზ თითებს ელოდებიან.  
რაზე ტირიან, ნეტავ, სანთლები,  
ასე, უალოდ რატომ იწვიან,  
დადუმებულან ირგვლივ ღმერთები  
და შებრალება სულ არ იციან.  
ჩუმად ტირიან ჩემი სანთლები  
ასჯერ ცოდვილნი, მაგრამ მართლები.

## სიყვარულისთვის

სიყვარულისთვის ყველა მსხვერპლი დასაშვებია,  
სიყვარულისთვის არ არსებობს წონა, ასაკი,  
გიყვარდეს, მაგრამ მის წინაშე ზუ დაეცემი,  
შენ შეგიძლია, სიყვარულით იყო ამაყი.  
თუ შეგიძლია შეყვარება, ბედნიერი ხარ,  
რადგან ამქვეყნად უნიჭონიც იბადებიან,  
მთელი ცხოვრება თამაშობენ სიყვარულობას  
და სიყვარული არ იციან, ისე კვდებიან.

## ფიქრიას

დაღლილი მთვარე შენს სარკმელთან რომ ჩამოდგება,  
მყუდრო ოთახში გადმოაბნევს შუქს — ვერცხლის ფულებს,  
სიზმარმორეულს თავზე ნაზად მოგეფერება,  
მერე წავა და ცაზე ადგილს კვლავ დაიბრუნებს.  
ჩუმად დარაჯობს შენი ძილის ლამაზ ფერიას,  
სულ ყოველ ღამე შენს ფანჯარას შეჰყურებს მცველი  
და როცა დილით ცას ჭალარა შეეპარება,  
განშორებისას თვალს მოსწყდება ცრემლები მწველი.  
ეს ცრემლებია დილის ნამად რომ ჩამოსულან,  
შენი სარკმელი ამ ცრემლებით დაიფარება,  
შენ გაიღვიძებ ალიონზე და წამოდგები,  
ქურდი ღამე კი ოთახიდან გაიპარება.  
სულ თან წაიღებს, სულ აკრეფავს ღამე უჩინო,  
რაც წინა ღამეს მთვარემ შენთვის გამოიმეტა,  
შენ ვერ მიხვდები, მთვარეს ასე რატომ უყვარხარ  
და რატომა თვლის მთვარე ღამეს თავის იმედად.

## მოდი, მნახე

მოდი, მნახე, ერთხელ მნახე,  
დამანახე შენი სახე,  
რომ გიამბო, ვით მიყვარდი,  
შენთვის როგორ ვივაგლახე.  
მოდი, მნახე, ერთხელ მნახე;  
ვიცი, არ ხარ შავი ქვა, ხე,  
ხმა გამეცი მიტოვებულს  
ისეც ბევრი მეუმძრახე.  
მოდი, მნახე, ერთხელ მნახე;  
თეთრი ციხე — მოდი მნახე,  
ძველ ადგილას გელი ისევ.  
გული შენთვის შევინახე.

## რამ მოგიყვანა

ისე გშორდები, შენი სახე ვერ დავიხსომე,  
წარმოსახვაში ჩემს ოცნებებს ვეღარ ვცილდები,  
თუ არ გიყვარვარ, ოქროს კოშკებს ნუ ამიშენებ  
და ნურც სიყვარულს ნუ შემპირდები.  
ისედაც მიჭირს, ოცნებები გავინაპირო  
და დაჩოქილი ვინანიებ ჩადენილ ცოდვებს.  
თუ იცი, ნაღდად, შენ ყველაზე უცოდველი ხარ,  
მაშ, ქვა მესროლე — ნუ შემიცოდებ!  
წავედი შენგან, მე არასდროს არ დავბრუნდები,  
მე სიყვარულის მოგეც ნება, თამაშის განა?!  
და თუ თამაში არის შენი სულის ნაწილი,  
მითხარი, ჩემთან რამ მოგიყვანა?!

## ვიოლინო

ბრა ჩაქრა და დარბაზს ჩუმი უვლის სევდა,  
რეალობა სადღაც სულის იქით დნება,  
მგონი, უკვე ახმიანდა საქსოფონი,  
სადაცაა, ვიოლინოც ატირდება.

ორკესტრს ვიღაც იდუმალი დირიჟორობს,  
დგას ნიკალა, მილიონი ვარდით ხელში,  
პარტერს აკრთობს ვიღაცის ყრუ შეძახილი...  
და ქვითინებს ვიოლინო მოძრავ ხემში.

კვნესის გრძნობით, დარბაზს ათოვს ვარდის სუნთქვა,  
მართლაც, გრძნობას მუსიკაში გზა ჰქონია,  
ვიოლინო სულ ჩემს გულში ქვითინებდა,  
მას ვუწოდე სიყვარულის სიმფონია.  
და როდესაც ვიოლინო რჩება მარტო,  
წყდება ჟღერა, ღრმა ნალველი აწევს სიმებს,  
ნეტავ, როდის ამღერდება ნაცნობ ხმაზე,  
ვეღარ ვუძლებ ყოველ ღამე ცრემლის წვიმებს.

## იოანეს

ჩემო სიცოცხლის სიცოცხლეო,  
ჩემო გაზაფხულის ატირებავ,  
ჩემო მარტის წვიმავ, შხაპუნაო,  
ჩემო იმედო და დაპირებავ.  
ჩემო ფიქრის დედავ, ფიქრიანო,  
ჩემო ქარის ტოტზე შემოჯდომავ,  
ჩემო ადრიანო ზამთარო და  
დაგვიანებულო შემოდგომავ.  
ჩემო სიხარულის სიხარულო,  
ჩემო სიცოცხლის დაპირებავ,  
ციცინათელების ციმციმო და  
ჭიამაიების გადაფრენავ...

## მწვანე ბალი

რა ვქნა, სად წავიდე,  
რა ვქნა, სად ვიჩივლო,  
ვინ ისმენს ამ გულის ფეთქვას,  
ნეტავ, შენთან ვიყო,  
რომ ფიქრი გაგიყო  
გინდ შენი აჩრდილი მერქვას.  
სულ არ გამოცვლილხარ,  
ისევ ყელს იღერებ,  
სულ არ დაგტყობია წლები,  
მგონია, კვლავ მოხვალ  
ჩემთან პაემანზე  
მგონია — იქნება ვცდები.  
მწვანე ბალს კვლავ ახსოვს  
ჩვენი შეხვედრები,  
უძირო თვალების შუქი,  
სულ შენი ბრალია, გზა ფიქრმა გალია  
ამ ლექსსაც ისევ შენ გჩუქნი.

## საათი

ლმერთმა მომცა სიცოცხლე და  
შენ კი წუთებს მითვლი.  
დაუკარგავს შენგან დევნილს,  
დროსაც თავის ხიბლი.  
შესდექ წამით, თუნდაც ერთხელ,  
ჩაგეძინოს იქნებ;  
ვეღარ ვუძლებ შენს სახეზე,  
მიმოფანტულ ციფრებს.  
ითვლი წუთებს და საათებს;  
თუ წამების შხეფებს,  
ვერც ვერავინ გედავება  
ყველა დროის მეფეს.

## თეთრი და შავი არაგვი

ფასანაურელ ვაჟკაცსა,  
მიცნობდა ვაჟას ჩარგალი,  
ქალამნად მეცვა მიწა და  
ქუდად მეხურა ცარგვალი.  
ვიყავ წვრილშვილის პატრონი,  
ცოლეურთ მება ყევარი.  
გუდანის ვიყავ მლოცველი,  
შავიქენ დამაწყევარი.  
ხატობას აველ სალოცად,  
ჭედილაც დავკალ ზვარაკი.  
ისეთი საქმე შამემთხვა;  
თავად მგონია არაკი.  
ბევრიც გსვი ყანნი პატარა,  
მაჯობა ჟიპიტაურმა;  
მწვადი რო შამაილია,  
მოჰქონდათ ჩობან-ყაურმა.  
მე კი არარა მინდოდა,  
ავად ამენთო თვალები,  
ანგელოზებად მეჩვენნენ  
ღამის მთევარი ქალები.  
ვტანჯე ნათხუარ ფანდური,  
კაფიებ ვუთხარ ქალებსა,  
პასუხად ერთი დიაცი  
არ მაშორებდა თვალებსა.  
ღამე სულს ლევდა ცის ფონზე,  
თენებას ეკლდა აღარა,  
შინისკენ წასვლა მწადია,  
შინ ცხენი მყავდა საღარა.  
თვალთ მიბნელდება, წვრილშვილი  
რომ მაგონდება ბინაზე.  
პატიოსანი ცოლი და  
ჩემთან იმისი სინაზე.  
შემყვარებია ქალაი,  
ხატობას ღამის მაყრობა.

დავაგდე კაცმა ცოლ-შვილი  
და მივატოვე სახლობა.  
ქამარ-ხანჯალი ვიპირე,  
ცხენიც შევკაზმე სალარა,  
თეთრი ნაბადი მოვიგდე,  
დავწყევლე ჩემი ჭალარა.  
რიურაჟი იყო, საყდრიონს  
ღობეს მამალი ყიოდა.  
ჩემი გულისა მურაზი –  
წყაროზე ჩამოდიოდა.  
დაცევი, ვითა მიმინო,  
ფარად ნაბადი ვითარე,  
მოვიგდე ცხენზე ქალი და  
კვლავ უკან გამოვიპარე.  
მოფრინავს ჩემი ცხენი და  
დილა მომყვება ფეხადა,  
ნეტავ, არ გათენდებოდეს,  
ფასიამც გადამეხადა.  
გაეგოთ ქალის ბიძებსა,  
დაუდევნებავთ მდევარი.  
წვრილშვილიანმა მოსტაცა  
ქალი, ხატობას მთევარი.  
მივქრი და მომდევს ასამდე  
ცხენოსან-ფეხოსანია,  
შავხედე, გული შექანდა,  
სუყველა წვეროსანია.  
ავჩარდი, უფრო ვუტიე  
ცხენით შევვარდი არაგვში,  
მეორე ნაპირს ფონს ვეძებ;  
წყალი ხან გვაწყობს, ხან დაგვშლის.  
ნამილო წყალმა ქვედაქვე,  
მატარა, ქვიშით ავივსე.  
ხან ჩამიხუტა გულდაგულ,  
ხანკი, მეწევა ნაპირზე.  
იქ, სადაც თეთრი არაგვი  
შავ არაგვს გულში ჩაიძვრენს,

წამართვა წყალმა ქალი და  
მე მომისროლა ნაპირზე.  
დავკარგე ქალი ცისნამი,  
ცხენი დავკარგე საღარა,  
ვეღარც ცოლ-შვილში დავბრუნდი,  
რომ შევირცხვინე ჭალარა.  
ავუგე წმინდა საფლავი,  
ლოცვად ვუდგევარ ბერია,  
სიყვარულს ვერ დავივინყებ,  
სხვა ქვეყნად არაფერია.  
არ ვყოფილიყავ მლოცველი,  
გუდანო, შენი ხატისა,  
ცოდვა დავიდე სამძიმო,  
ნეტავ, სიკვდილი მაღირსა.  
ეგებ, იმქვეყნად შევყროდე,  
ცისნამსა, ჩემსა მთვარესა.  
ამქვეყნად რა დამრჩენია,  
სიკვდილის მოზიარესა.

## თოვლი

მესიზმრა, თითქოს, თოვდა ძალიან,  
ფიფქებში ვეღარ გხედავდი, თითქოს,  
შენს ნაფეხურებს ავსებდა ფიფქი  
და ზედ მაყრიდა ქარბუქი იმ თოვლს.  
შევხედე ზეცას, თეთრსა და მაღალს,  
უსუსურობა ვიგრძენ თავისა,  
რა პატარაა ადამიანი,  
განა, აქვს ძალა თოვლთან დავისა?  
გამომეღვიძა, ნამქერში დაღლილს  
და თურმე, მართლა მოუთოვია,  
რამდენ ნაფეხურს წაშლიდა, მაგრამ  
პასუხი არვის მოუთხოვია.

## ლოთი

საღამოს ბინდში სინათლე სულს ლევს,  
მთვარეც გამოჩნდა ნასადილევი,  
ისე უგდია ძირს ღრუბლის ქულა,  
ვით ნადირთ მეფეს — ნანადირევი.  
მთვარეს უცდიდა, ალბათ, ტირიფიც,  
რომ უალერსონ ერთურთს მიჯნურთა,  
სიტყვები უთხრან ჯერაც ართქმული.  
„ლილეს“ მღერიან თეთრნი ქორაფნი  
მუხანი ვახშმად ემზადებიან,  
და ჭორიკანა ნაკადულები  
აქ, მთვარის შუქზე ფერადდებიან.  
ლელის პირას კი უტყვი და მშვიდი  
დევს უანგიანი, ჩემფერი ლოდი,  
დუდუნებს ჩუმად და იცრემლება,  
ვით მიგდებული, ბებერი ლოთი,  
რადგან დაკარგა აქ გვერდზე მდგარი  
კელაპტარივით თეთრი ფიჭვები,  
ხეები, როგორც ჯარისკაცები  
შინმოუსვლელი მწვანე ბიჭები.  
და სტკივა ლოდსაც გული ლოთისა,  
როგორაც სტკივათ მოჭრილი თითი.  
უამბობს მთვარეს ამბავს მწუხარეს,  
შემოსწოლია ნალველი დიდი.  
გული უფუის ნამეხარ ძელქვას,  
მოჭრილ კოპიტებს ჯერაც სდის წვენნი,  
შემოსევია თითქოს ქისტეთი  
მოუკვეთიათ მტრისთვის მარჯვენნი.  
მთვარე კი ბრძენი, ვით სოლომონი,  
დაჰყურებს წყენით, ჩუმი, მდუმარი.  
ესწრაფვის, მალე გათენდეს დილა,  
ცას გაერიდოს ლამის სტუმარი.

## დედაშვილობა

აქვე, ახლოს, ერთ პატარა სადარაჯოს  
მიეკედლა სულ უბრალო ერთი ძალლი,  
არ ჰქონია საწყალს, ალბათ, ლუკმა-პური  
და მოძებნა მან ძაღლურად ბინა-სახლი.  
ცოტა ხანში მან მოვალედ იგრძნო თავი,  
გაეწია დარაჯისთვის სამსახური,  
სიფხიზლისთვის ერგებოდა ხმელი პური,  
არც უნდოდა ქადები და ხაჭაპური.  
მალე ძალლმა, უსახელომ და უსახლომ,  
ხუთი ჭრელი, ანცი ლეკვი გააჩინა,  
მაგრამ აბა, თვითონ ლტოლვილს, შეფარებულს  
ვინ მისცემდა ხუთისათის საკმარ ბინას.  
ერთ დღეს სადლაც მოაფარეს დედა ძალლი  
და ლეკვები ვიღაც ძიას გაატანეს...  
რომ გაიგო ძალლმა მერე ბევრი სდია,  
ვერ იპოვა, ლეკვები სად გადაყარეს.  
უნდობლობა, შური, ბოლმა და ცრემლები,  
დედობასთან ძალით გამოთხოვებაზე,  
ინვა სადლაც, მიგდებული, ბნელ კუთხეში  
და ფიქრობდა თავის ძალლურ ცხოვრებაზე.  
ეს რამდენი დღე შეცვალა ღამემ ბნელმა,  
ძალლი ერთ დღეს გამოვიდა, კართან დგება,  
ფიქრობს უკვე დარაჯი და მისი მოდგმა,  
რომ მყეფარი თვის სამსახურს უბრუნდება.  
მაგრამ ძალლი გაჰყვა ღობეს სულ სირბილით  
მან მეორე სადარაჯოს იქ მიაგნო,  
თურმე სხვა ძალლს იქ ლეკვები დაეყარა  
და იმდენი უტრიალა შორიახლო,  
რომ სხვა ძალლის სხვა ლეკვები მოიპარა,  
სათითაოდ გადმოზიდა პანიები  
და დედობა დაიბრუნა ძალლმა, უტყვმა,  
გრძნობა დიდი გახდა კაცთა საძიები.  
არც პროფესიით კინოლოგი ვარ,  
არც მოწოდებით კაცთა მგმობელი,  
მაგრამ ძალლებმა უნდა გვასწავლონ  
როგორი უნდა იყოს მშობელი?!

## გალია

ეს მე არ ვარ, ვიღაც, უცხო შემომცქერის სარკიდან,  
თითქოს ვიცნობ, მაგრამ ცნობაც, გეფიცებით, არ მინდა.  
ვიცნობ თვალებს და თვალებში  
ფიქრებს ვიცნობ ჩემეულს,  
ვიცნობ ღიმილს, მაგრამ ვერ ვცნობ  
ღიმილს, ღვარძლში შერეულს.  
ეს სხეულიც, თითქოს, ჩემი სატუსალო სულისა,  
გონება კი, ვით სასწორი ბოლმისა და შურისა...  
სულო, ვწუხვარ, ამ სხეულში, ამ სარკეში დარჩები,  
იქნებ კიდეც გესიზმრება თეთრი ურა რაშები.  
რით დაგიხსნა, რა ვიწამო, ვით აგყარო გალია,  
ლოცვაც ვცადე, არვინ მისმენს, ღმერთსაც არა სცალია.

## ნადიმზე

თითქოს ზეცაში ვიყავ ღმერთებთან,  
თითქოს ღმერთებთან ვიყავ ნადიმზე,  
თავს დამყურებდა ათი სამყარო  
და დამნათოდა თავზე ათი მზე.  
ღვინოსა ვსვამდით სავსე თასებით  
ვაზებს ვუქებდით მადლიან ფესვებს,  
სადღეგრძელოებს ვამბობდით წყობით  
და არ ვარღვევდით სუფრისა წესებს.  
მაგრამ დამძალა, ღვინომ მაჯობა  
და საფერავი ჩემს ძარღვში თრთოდა,  
უცებ დავეშვი დედამიწაზე,  
გამომეღვიძა და ქარი ქროდა.  
ვიგრძენ, არ იყვნენ ქვეყნად ღმერთები,  
მზე აღარ ენთო ირგვლივ არც ერთი,  
აღარც ნადიმზე მპატიჟებს ვინმე,  
რა დავაშავე ნეტავ ასეთი?!

## თაის

ყელი ვით ფიქალი, მკერდი მარმარილო,  
ფიქრები მიგიგავს დაისს,  
შენი თვალებიდან სიკვდილი მიყურებს,  
ჩემო დამტანჯველო, თაის.  
ტკბილმა მოგონებამ ფიქრებში წამილო  
ვეტრფი ვარდობისთვეს, მაისს,  
შენი ლიმილიდან სიკვდილი მიღიმის,  
ვარდები დამაყარე, თაის.  
არაფერს ვინატრებდი, მდგარი ეშაფოტზე,  
არ დავიძახებდი „ვაის“,  
მხოლოდ ვიცოდე, რომ შენი ხელით ვკვდები,  
ცრემლები დამაყარე, თაის!

## ჰეი, ბიჭებო

ჰეი, ბიჭებო, არაგველებო,  
მარაბდის გმირნო, მგლებო ალგეთის,  
დღეს საქართველო ყვავ-ყორნებს მიაქვთ,  
გამოიღვიძეთ! მკვდრეთით ალდექით.  
ქართველებს სისხლი დასდუნებიათ  
და ალარც სტკივათ გულზე ჭრილობა,  
დავიწყებიათ ნამდვილად მოდგმა  
და ალარ ახსოვთ გვარიშვილობა.

## რა გსურს

გასულა ცხოვრება, გასულა სიცოცხლე,  
ბეწვის ხიდს შევადექ ნელა.  
მეორე ნაპირზე, ვიღაცა მიგვიხმობს  
და იქით მივდივართ ყველა.  
სული ჩუმად კვნესის, გული იმეორებს,  
მაგრამ რას უშველი, რა გსურს?  
რაც უნდა იწუხო, რაც უნდა იდარდო,  
ვეღარ დაიბრუნებ წარსულს.

## ედემი

ედემის კართან მოვიხსენ ფრთები  
იქ მივატოვე, დავკიდე ხეზე,  
სამი დღე ცოცხლობს თუმცა პეპელა,  
მაგრამ გავცვლიდი ჩემს სიცოცხლეზე.  
მე ვერ ავიტან უაზრო ბჟუტვას,  
ჩემს გულში დიდი ცეცხლი ანთია,  
ვიდრე ჩავქრები, სულ ყველა მიყვარს,  
ედემი — ჩემი მისამართია.

## იას

იადონს გაჩუქებდი — ტყვეობას ვერ იტანს,  
ალარ იგალობებს და გული დაგწყდება,  
ბალში ნავარდს არის იგი შეჩვეული,  
უთუოდ საბრალოს ხმა დაეკარგება.  
ნალკოტს გაჩუქებდი, იებით მოქარგულს,  
არნივთა საბუდარს, კლდეებსაც დავთმობდი,  
ნიავს გაჩუქებდი, ცელქსა და უდარდელს,  
კისკისა ნაკადულს, კოცნით დაგათრობდი.  
ან კი რად გთავაზობ უბრალო საჩუქრებს,  
ლურჯი ცაც შენია, მე რა დამრჩენია,  
უნაზესს რად გინდა ან ჩემი შექება,  
როცა ქვეყანაზე სულ ყველა შენია —  
ია და ენძელა, ჩიტები ფრენია...

\*\*\*

იყო ომი და იყო მშვიდობა,  
იყო მახვილი და იყო ცეცხლი,  
იყო კაცობა, მაგრამ რატომდაც  
შენ აირჩიე იუდას ვერცხლი.  
იყო ტრამალი და იყო ზეცა,  
იყო ბორკილი და იყო დაფნა,  
იყო ერთობა, მაგრამ რატომდაც  
შენ აირჩიე სურვილთან გაყრა.

იყო მტრედები, იყო ტიტები,  
იყო ცრემლი და იყო გმირობა,  
იყო ქართლი და იყო ქართველი,  
მაგრამ არ იყო გვარიშვილობა.  
იყო გაცემა, იყო ღალატი,  
იყო დაცემა და იყო ნგრევა,  
იყო პატარა სარკის ნატეხი  
და სულის სულთან გასაუბრება.  
იყო სიჩუმე, იყო დუმილი,  
იყო წუხილი, იყო წაგება,  
იყო უფსკრული, იყო მწვერვალი,  
მაგრამ არ იყო ქვეყნად გაგება.

## ქალი

თითქოს თოვდა, თითქოს წვიმდა,  
თითქოს ქროდა ქარი.  
თითქოს გსურდა, თითქოს გძულდა  
ის ლამაზი ქალი.  
რა სურს შენს სულს, თავზე გასულს,  
ოცნებებში ნასულს,  
ქალი, შენ რომ გსურდა, გძულდა  
ჩაბარდება ნარსულს.

## ნინო

მაისის დარში, წინანდლის ბალში  
ვარდების თაღში,  
მართლა გიხილე, თუ დამესიზმრე?!  
ბულბული სტვენდა და ჩრდილნი ხეთა,  
ქებად შენდა იდგნენ ლოდინით  
და ეს ლოდინი მაწევს ლოდივით.  
ისევ ვარდები, ფოლიანტები,  
ისევ სიზმარი და ისევ ღვინო!  
თითქოს ვიყავი გრიბოედოვი  
და წინანდალში ვიხილე ნინო.

\*\*\*

ასე რისთვის გამიმეტე,  
რად მომტეხე ძირში ფრთები  
ნუთუ სულ არ გეცოდები?!  
— ცაში ვეღარ ავთრინდები...  
კვნესის ფრესკის ანგელოზი,  
სტკივა დამტვრეული ფრთები,  
რა ძალიან მენატრები  
და რა მწარედ მაგონდები.  
ვერც ვიხილავ ედემის ბალს,  
ადამის ვაშლს ვერ შევწვდები,  
ღმერთთან მისვლის მქონდა ნება,  
ახლა ღმერთსაც ვერ შევხვდები.  
დაცემული ვარ უშენოდ,  
მიწაზე ძლივს ვიმართები,  
მითხარ, რატომ გამიმეტე,  
მითხარი, რას მემართლები...

## უსიყვარულოდ

იქნებ, დაგითმო ტახტად გული ჩემი მფეთქავი,  
იქნებ, დაგითმო, ეს სასახლეც, ვეზირ-მონებით,  
იქნებ, ლოთი ვარ, იქნებ, ხელი, იქნებ, ავარა,  
მე სიყვარულის მათხოვარი ნუ გეგონებით.  
მიდის ცხოვრება, ვერ მოვასწარ დაყვავილება,  
მე გაზაფხულის მოლოდინში დამზამთრებია.  
შენ მეცოდები, რადგან მართლაც საცოდავი ხარ,  
შენს სიცოცხლეში რომ არავინ არ გყვარებია.  
რად მინდა წყარო, თუ არ არის იგი ანკარა,  
რად მინდა თასი, ცარიელი ყანწი, ფიალა,  
მე სიყვარულმა დამაჩოქა, მისი ვარ მონა,  
მისი ძალაა, რომ მამლერებს, შენი კი არა.  
ვერ გაიმეტე, რადგან ჩემთვის ერთი ღიმილი,  
მინდა, წამლეკოს ნიაღვარმა, წვეთებს ვკმარულობ,  
თუმცა გავლიერ ეს ცხოვრება, მძიმე უშენოდ,  
მე ვერ გავძლებდი უცრემლოდ და უსიყვარულოდ!

## სარკეს

სარკევ! მახსოვხარ იმავ დღეიდან,  
როცა ამ სახლში მოხველ პირველად,  
როგორ ელავდი, როგორ ბრწყინავდი,  
როგორ ბზინავდი გასაკვირველად.  
სწორედ ისეთი დაგიმახსოვრე;  
შუქმოფენილი, თეთრი, ოვალით,  
შენ კი რა ქენი, რა ჩაიდინე,  
რა გულს მიწყალებ შენი მორალით.  
რა უყავ ჩემი თვალების შუქი,  
რა უყავ ჩემი ვარდის ფურცლები,  
მუდამ ტირიხარ, ალარ მიღიმი,  
რად არ გახსოვარ მეც შეუცვლელი?!

## გაზაფხულზე

დაგიკოცნი ლამაზ ტუჩებს, ვარდის ფურცლებს  
ბროლის ყელზე მოგეხვევი, ჩაგიხუტებ.  
გაზაფხულზე სიყვარულის ზეიმია;  
შენ კი ახლა, სწორედ ახლა გაიძუტე.  
ვერ გავიგე, ვერ მიგიხვდი, რა გწყენია,  
წვიმაში რომ გასათბობად ჩაგიხუტე?  
ღმერთმა ჩემთვის გაგაჩინა შენ მერცხალი,  
ხოლო შენთვის, ჩემი გული — მერცხლის ბუდე.  
მეშინია, ტუჩებზე არ ჩამომადნე,  
პატარა ხარ, ვით ფარფატა თოვლის ფიფქი,  
მოდი ჩემთან, გაზაფხული ვიზეიმოთ,  
მოდი ჩემთან, გევედრები, შემირიგდი!..

\*\*\*

ამ ცის, ამ მინის შვილი ვარ,  
ამ ქვა-ლოდების დობილი,  
ამქვეყნად ჩანგად მოვსულვარ,  
ვლოცულობ ხელაპყრობილი.  
ხან ქორბუდა ვარ ნამქერში,  
მთების მშვენება მყვირალი,  
ხან ტირიფი ვარ პატარა,  
ბექზე შემდგარი, მტირალი.  
ობოლი ნუკრის ცრემლი ვარ,  
ხან არწივი ვარ მთებისა,  
ხან, მათხოვარის აბგა ვარ,  
ხან, ნაბიჯი ვარ მეფისა!

## აკვანი

დიდედას გავყევ ნასოფლარში, ხალხს გავერიდე,  
მსურდა, ჩემს ფიქრებს გავქცეოდი ლტოლვილს ჩეროთა,  
რადგან იმედმა მიმატოვა სადღაც კუნძულზე,  
აღარც წარსულის, არც მომავლის აღარ მჯეროდა.  
მწვანე ბალახი მოსდებოდა გაბერილ ჭურებს  
და ნაბილიკარს ანწლის ტოტი გადაჰვენოდა,  
საკინძეჩხასნილ ბრონეულებს ეკიდათ ცეცხლი  
და იდგა სახლი, თითქოს წარლვას გადარჩენოდა.  
საჩეხის თავზე შევამჩნიე ჩემი აკვანი  
მოვეალერსე, წავუმღერე წაცნობ სახეებს,  
ისეთი გრძნობა დამეუფლა — ვიყავ პატარა,  
და ამ აკვნიდან სულ ახლახან წამომაყენეს.

\*\*\*

რა ვქნა, თუკი შარაგზების მქვია ქარი,  
ფოთოლცვენა თუკი ჩემთვის ოქროდ ფასობს,  
შემოდგომა მინდა, ერთად ვიზეიმოთ,  
როგორც უნინ, წინანდალში ვიდარბაზოთ.  
ჩიტავაშლას თავს ფუტკარი დასევია,  
იადონის სტვენას უსმენს თეთრი ვარდი,  
რა ვქნა, თუკი შარაგზების მქვია ქარი,  
რა ვქნა, თუკი ასე უცებ შემიყვარდი.

## გული

გული ძალიან ამტკივნია,  
გულში ჩარჩენილი სატევარი,  
გულის ნახევარი ამტკივნია,  
შენგან გატეხილი ნახევარი.  
რომ გითხრა, აღარც სურვილი მაქვს,  
გულიდან ამოვიღო სატევარი.  
მაინც არაფრით გამთელდება,  
შენგან გატეხილი ნახევარი.  
მე ხომ მთელი გულით მიყვარდი და  
რატომდა დამჭერი სატევარით,  
ახლა როგორდა შეგიყვარო,  
გულის გატეხილი ნახევარით...

\*\*\*

დრო მიდის და ჩვენც ჩუმად ვბერდებით  
ძველი ბიჭები, ძველი გაგება.  
აღარც გვემლვრევა ძარღვებში სისხლი  
და შევეჩვიეთ თითქოს წაგებას.  
ის ტატოს რაში, ფრთებგამოსხმული,  
მახსოვს; დაპეროდა გადარეული,  
ახლა, დამდგარა, აღარ მიმაფრენს  
და უცახცახებს მთელი სხეული.  
ძნელია, როცა არა გაქვს სარკეც  
და შენს ორეულს ხედავ გუბეში,  
ძნელია, როცა ამდენ ხალხში ხარ,  
ვერ გიპოვია მაინც ნუგეში.

\*\*\*

ვარდებს და გვირილებს ჯერ ისევ ეძინათ,  
ია და ენძელა თვლემდა.  
ვფიქრობ და ვერაფრით ვეღარ გავიხსენე,  
მე რისთვის მოვედი შენთან.  
ანკარა ნაკადულს სიცოცხლე სწყურია,  
გულს კი მოეწყინა ფეთქვა.  
რა შენი ბრალია, სიტყვები ქარია,  
ვერ გითხარ, რაც უნდა მეთქვა.

\*\*\*

სულ პატარა თეთრო წყარო,  
ანკარავ და უანგარო,  
ნეტავ, რამე მოვიფიქრო,  
ნეტავ, რითი გაგახარო.  
აღარ ვიცი, სად დაგტიო,  
პატარაა ეს სამყარო,  
რა ძალიან მიყვარხარ და  
თავი რითი შეგაყვარო...

## მუზა

ვერ გამიხარა მზის სხივებით გული აისმა  
ამ სხივებს მუდამ სიცივე და სიმძიმე ერთვის,  
მოვიხმობ სულში მოფარფატე სიცარიელეს,  
მე აღარ მჯერა შეგონება არცერთი ღმერთის.  
დაეხეტება ქარი თავის გუდა-სტვირებით,  
სარკმელს აცვივა ღამეული ცივი ცრემლები,  
გამასამართლეთ, ო, ღმერთებო, დამადეთ მსჯავრი  
და გევედრებით, ნუ იქნებით ფარისევლები!  
ისევ მე მტანჯეთ, მე მანამეთ, ოლონდ დაინდეთ  
აქ, ჩემს კარებთან დაჩოქილი მუზა, ეული,  
როგორც მრავალჯერ გაყიდული ნაცემი მონა,  
ხელზე ხუნდებით ციხეს იყო გამომწყვდეული.  
მოვიდა ჩემთან, ბინას ეძებს მიუსაფარი,  
სულ დაშრეტია ცრემლისაგან თვალი ღვთიურნი,  
მაგრამ შემორჩა აზრთა კრთომა როგორც ცისკარი;  
და სიყვარული — ავგაროზი მარადიული.  
ხან დაიშლება სტრიქონებად, შუშის მძივებად  
გაიფანტება, დაიბნევა ვერცხლის წყალივით,  
ხან კი აღდგება, როგორც სფინქსი — უცხო ფრინველი,  
ლამაზ ჰანგებზე აჟღერდება ბოშა ქალივით.  
უღვთო ღმერთებო — შეინანეთ სული მბორგავი,  
არ მინდა, არა! ეს სიცოცხლეც აჲა, წაიღეთ!  
მოხსენით ჯვარი ჩემს კარებთან დაჩოქილ მუზას,  
როგორმე ისიც გოლგოთაზე ამატანინეთ!!!

## მაისის წვიმა

არც იდეალურ ცხოვრებას ვეტრფი,  
ერთფეროვანი ამინდიც არ მსურს,  
კლდე-ქარაფიდან გიხმობ, გეძახი,  
თუ დამიბრუნებ დაკარგულ წარსულს.  
მინდა, ხე ვიყო და ფოთოლცვენას  
ველოდე ქარში გულისფანცქალით,  
ქარი მაცლიდეს ფერშეცვლილ ფოთლებს,  
მიჰქონდეს ცაში ორომტრიალით.  
მინდა, იჭექოს, მეხიც გავარდეს,  
მინდა, ინვიმოს, მოვარდეს თქეში,  
შემომაცალოს ტანიდან ფარჩა,  
ვიდგე შიშველი მაისის თვეში.  
კვირტებს დავბერავ, კვლავ ავმწვანდები,  
ცრემლებს დავმალავ, დარდი არ მინდა,  
და თუკი წარსულს შენ არ მიბრუნებ,  
გავიმეორებ ისევ თავიდან.  
ყველა ცოდვას და ყველა შეცდომას,  
გავიმეორებ უკეთ ყველაზე,  
მაისის თვეში, იქნება თქეში  
და ვიქანავებ ცისარტყელაზე...

## თამაში

სულში ცივა, ალბათ უკვე დამიზამთრდა,  
ცხოვრებისგან კარგს არაფერს აღარ ველი,  
მაგრამ მაინც ყურში ვიღაც ჩამჩურჩულებს...  
„კიდევ სცადე, გააგორე კამათელი!“  
ვხედავ კარგად, ეს სიცოცხლე თამაშია  
და ცხოვრებაც თამაშია აზარტული,  
ლამაზია ეს თამაში, მიმზიდველი,  
მაგრამ თამაშს წესები აქვს მეტად რთული.  
თუ წააგე, ერთხელ მაინც თუ დაეცი,  
არ გეგონოს, ვინმემ ხელი შეგაშველოს,  
გულში ჩუმად ისადგურებს მურისგება,  
მართალიც ხარ, გინდ ქვეყანამ შეგაჩვენოს.

## სირაჯხეანა

მეგობრის სახლში, ფართო ოთახში,  
სულ წამით მკლავზე ჩამომქაჩა ჩემმა ცხოვრებამ  
— როცა თვალებით შევეფეთე ტილოს უცნაურს  
და შევეცადე, ამომეხსნა მისი რაობა.  
აღმოვაჩინე უკამათო აზრთა სხვაობა —  
მაგიდას მქრქალად აშუქებს მთვარე,  
თითქოს, ბრალდებით შემომყურებს გაჩეხილი ხის მრგვალი ფორმა,  
არ ჩანს მექუდე, სულ წასულა და აღარ მოვა;  
აგერ, სანტიმეტრს ჩამოშლია ერთი ნაპირი,  
კვლავ ჩავფიქრდები; ის მექუდე, ანდა მხატვარი — ნეტავ სად არის?!  
ჰეი, მექუდევ! შენ დღეიდან სირაჯხეანის გახდი მუშტარი  
და ქუდის ნაცვლად, დღეს კაცობის აიღებ ზომას!  
მაგრამ კაცობას სანტიმეტრით გაზომავ, განა?!  
გამოგადგება? ან საზომად ეგ სირაჯხეანა!!!

\*\*\*

ხევისპირს მოჩანს ხმელი ხეჭრელი  
და მღვრიე წყალი შეჰყეფს ლოდებზე,  
მე გამახსენდა ძველი სიმღერა,  
ძველი სიმღერა ბებერ ლოთებზე.  
სატივეს ზურნა დამდურებია,  
დუდუკებს ძინავთ ღვინის დოქებზე,  
და საიდანლაც სიმღერა ისმის,  
ძველი სიმღერა ბებერ ლოთებზე.  
სამიკიტნოს კარს აბრა შეხსნია  
და ორთაჭალას ვარდი აყვავდა,  
სად დაკარგულან ძველი ბიჭები,  
ხეჭრელი შერჩა სუფრას თამადად...

\*\*\*

ღმერთოო, ქრისტე იესო — ცოდვა არ მაპატიესო,  
ალმიდგნენ ანგელოზები, ეკლესიამდე მდიესო.  
ვინ არის მპატიებელი, შენს მეტი ქრისტე იესო,  
გული ჩაგრული უშენოდ ცრემლებმა შეარხიესო.  
გალობა ისმის ზეციდან, მოგელი, ქრისტე იესო,  
ო, წამიყვანე, ვერ ვუძლებ ქვეყანას ასე მღვრიესო,  
შენ მაპატიე ცოდვები, სხვამ არა, ქრისტე იესო.

\*\*\*

მიყვარს შენს მიერ გათელილი ყველა ბილიკი,  
მაგ ჯვრის სიმძიმე დამაქვს ბეჭებით,  
ხომ კარგად ვიცით ო, უფალო შენი უფლება,  
მაშ ალდგომაზე რაღად ვეჭვდებით.  
თუ შემოვბრუნდი და მოგაპყარ თვალი ცოდვილმა  
არ მიძებნია ო, უფალო მე საზღაური,  
თუმც მიმიღია ამისთვის მონანიება  
სიყვარულია კვლავაც ჩემი დანაშაული

\*\*\*

თვალები მოგიცია ორი, უფალო,  
ერთი მე და ერთი სხვას,  
ხელები მოგიცია ორი, უფალო,  
ერთი მე და ერთი ძმას.  
გული მოგიცია ერთი, უფალო,  
იმაშიც ხელი ურევია სხვას,  
სისხლი მოგიცია ერთი, უფალო,  
ისიც შეუსვია ყორანს და სვავს.  
სიცოცხლე მოგიცია ერთი, უფალო,  
თუ მეტყვი იმასაც მივცემდი სხვას,  
სიკვდილი მოგიცია ერთი, უფალო,  
იმას კი ნამდვილად ვერ მივცემ ძმას.

## ანას

ანა ქალო, ქვეყნის თვალო,  
ბევრის გულის საფიცარო,  
ვისთვის ღმერთო და ღმერთქალო,  
ჩემთვის მუდამ შემომწყრალო.  
მე როდემდის ღამე ვთვალო  
ცრემლი ვლვარო უსაზღვარო,  
ერთხელ მაინც გამიღიმე  
და მითხარი: „შენი ვარო“.

\*\*\*

ო, დიდებულო სამებაო, მე ვით გავბრიყვდე  
და მოვიძიო შენსკენ გზები და მისადგომი,  
შენი დიდების ქვეშ შეიშით კრთის ეს დედამინა, შენს ფეხთსადგამი.  
თუკი მიყვარდა ამ მიწაზე ყველა სულდგმული შექმნილი შენგან  
და ვადიდებდი ქვეყნის შემოქმედს, რომელმაც შექმნა ეს სილამაზე,  
განა მე ცოდვად ჩამეთვლება აღტაცება თვალისმიერი,  
თუმც სილამაზე ამქვეყნიური არს წამიერი;  
მაინც ხომ შენგან ის შეიქმნა კაცთა საამოდ, სამშვენიერი.  
არსთა გამრიგევ, დიდი ხარ ძლიერ მართლლმობიერი,  
თუმც ამ მიწაზე მე ვეძებდი დიდხანს ოზისს  
მე შენში ვიპოვე სიყვარული სამაგიერო!

\*\*\*

ნეტავ შენი ბალი ვიყო — გაგანებივრებდი,  
ლამაზ-ლამაზი ყვავილებით გაგაკვირვებდი;  
ყოველ დილა ვარდის კოკორს ჩაგაკონებდი,  
და ყოველ ღამე ედემ-ბაღში დაგაძინებდი...  
ნეტავი, შენი მეგობარი ვიყო, ვიწვოდე,  
ლამეებს ვტეხდე შენი ტრფობით, შენ არ იცოდე!..

\*\*\*

ასე მგონია, მშობლიურ სახლს ძალით მომგლიჯეს  
და გარდახვეწილს მენატრება ის სანახები,  
ჯერ რომ ჩემს თვალებს არ უხილავს, გული კი ნატრობს,  
მიოცნებია შენს დიდებაზე, უფალო, მარტოს.  
განთიადს ველი გულის ფრიალით,  
თითქოს, მატარებელი იგვიანებს ჩემი,  
და როგორც სულელი ქათამი ცას ახედავს წყლის დალევაზე,  
ისე შევყურებ ცას, ვეძებ ჩემ მხსნელს,  
ველი ყოველს წუთს და სული წუხს!  
რადგან მარგალიტი ღორებისთვის დამიყრია,  
რადგან სულინმინდას თავისუფლება უნდა,  
მე კი ჭურჭელი იგი მოსარიდი ისე ამივსია ამქვეყნიური ჯორითა  
და ავყობით,  
რომ სხევბისთვის ნეტარს ხან დროს მგონია დაკარგული ვარ!  
და გულს ვსაყვედურობ უმადურობას.  
მეგობარო, თუ ამ ცხოვრებაში კომპასი დაგვარგვია,  
გაიხსენე, მზე აღმოსავლეთიდან ამოდის!  
მზეს გზის მაჩვენებლად უფალი გიგზავნის!  
გაჰყევი ამ გზას, გზას რომელსაც სიკვდილიდან სიცოცხლეში  
მიყავხარ,  
ახალ ქალაქს იერუსალიმს!

\*\*\*

პალმებს აშრიალებს, ქარი ქრის ზღვაური  
ნისლში გახვეულა ენგურის ნაპირი,  
ტკბილი მაგნოლიის სურნელი იგრძნობა  
მხარზე ვგრძნობ შეხებას ეული აჩრდილის.  
აღმა ავიარე, დაღმა გავეშურე,  
გზაში ჩამუხლულა ბებერი წისქვილი,  
ქვაზე სარეკელა შემხტარა, ტაშს უკრავს  
ხოლო მენისქვილე გამქრალა ფიქრივით.  
კვნესიან პალმებზე შემტყდარი ტოტები,  
ბილიკებს ნაცნობი კვალიც არ ეტყობა,  
აღარც გვირილები, აღარც იაია,  
კვლავ უკან ვბრუნდები, რაღა გაეწყობა.

\*\*\*

ჯვარზე ვიყავი მე გაკრული  
და იქ სიკვდილი მელოდა.  
ყველას საშველად ვუხმობდი  
მაგრამ არავინ მშველოდა.  
შენ მოხველ მხოლოდ, შენ დამიხსენ,  
მომხსენი მე ცოდვის ბორკილი,  
მუხლებზე დავდგები მე შენს წინ  
და გმადლობ მე ხელაპყრობილი.  
ჩემს ნაცვლად, სულიც განუტევე,  
ჩემს ნაცვლად, შენ გასვეს ნაღველი,  
ჩემს ნაცვლად, გაწამეს წმინდაო,  
ნატანჯი მამასთან წახვედი;  
გოლგოთას სისხლის წვეთს ავკრეფ,  
კისერზე ჩამოვიკიდებ,  
მე სამკაულად მექნება  
სისხლი, რომლითაც მიყიდე!

\*\*\*

იმ ღმერთს, იმ იესოს სულ დიდება,  
ვისი გზაც მუდამ ნათელია,  
ვისაც ტახტი უდგას ცათა შინა,  
ვუხმობ მწუხრისას თუ გამთენია.  
იმ ღმერთს, იმ იესოს სულ დიდება,  
გოლგოთის ჯვარზე სისხლდანთხეულს  
მის სულს, მის ბუნებას სულ დიდება  
და სანთელივით წმინდა სხეულს.  
იმ ღმერთს, იმ იესოს სულ დიდება,  
რომელიც მე ცოდვებს მაპატიებს  
შემინდობს, მათ აღარ გამახსენებს  
და თავის ქორნილში დამპატიუებს.  
იმ ღმერთს, იმ იესოს სულ დიდება,  
ვინც მე გული მომცა ასაძგერად,  
რომელმაც ხმა მიბოძა, ენა მომცა  
თავის დიდებაზე ასამღერად.  
იმ ღმერთს, იმ იესოს სულ დიდება  
გადებულს მამასთან გზად და ხიდად,  
ვისი იმედითაც ხსნას მოველით  
დღეს ის ქრისტე აღდგა, ჭეშმარიტად!

\*\*\*

ხან ის მგონია, მდინარე ვარ, მერე რა არის,  
ისიც არ ვიცი, მე რა მქვია, ვანგრევ ჯებირებს,  
ეს იგივეა, რომ კედელზე დახატო კარი,  
ვერ გავხსენ კარი, გამახსენდა — მე მქვია ქალი!  
ზოგი მდინარე თავისი გზით მიდის დინდება  
მიაღწევს მიზანს, ზოგი ზღვაში ჩაედინება,  
ზოგს კი, ხომ იცი, არ უნერია იმ ზღვამდე მისვლა  
დაიკარგება აქა-იქა ჩაყლაპავს ქვიშა.  
სათავეები?.. მდინარეთა სათავეები?..  
იქ არის, სადაც ღვარცოფები მოედინება,  
სადაც თოვლიან მწვერვალებზე სხივი ისვენებს  
და საიდანაც მზე ქვეყანას მოევლინება.

\*\*\*

ხევის პირას ვზივარ მარტო,  
ნაზად კვნესის ხევში წყალი,  
და ყურს ვუგდებ გიტარის ხმას,  
რაზედ მოსთქვამს ქისტის ქალი.  
კვნესის კრთომით სიმთან გულიც,  
აუცრემლდა ხევსაც თვალი,  
და ბანს აძლევს თითქოს კვნესას  
მომდინარი ხევის წყალი.  
მღერის ნაზად, სულში წვდომით  
აუდუღდათ ქვებსაც გული,  
ჩუმი სევდა ისმის ხმაში,  
მონატრება სიყვარულის.  
ყურს უგდებენ ჩიორები  
ნარზე წყნარად ჩამომსხდარნი,  
მიუდიათ თავი თავზე,  
გრძნობით მღერის ქისტის ქალი.  
ნეტავ იმას, ვისაც უხმობს  
ეს გიტარა განწირული,  
მენატრები და მოგელი  
მეგობრისგან გაყიდული.

\*\*\*

მინდა, აგიხსნა, მე სხვა მიყვარდა ცისფერთვალება ბიჭი,  
მეგონა, ისიც შემიყვარებდა, თურმე, ვყოფილვარ გიუი,  
როცა დავრწმუნდი, მე სხვა ვიყავი, ის კი დასდევდა პეპლებს,  
ლამაზი იყო, ყველას უყვარდა, ვარდებს, გვირილებს, ეკლებს.  
და გადავწყვიტე, აღარ მიყვარდეს ქვეყნად არც ერთი კაცი,  
შენ შემოგწირო, რაც კი გრძნობა მაქვს, რაც გამაჩნია აწი.  
რასაც მას ვწერდი, ახლა შენ მოგწერ, გთხოვ, ნუ დამიშლი წერას,  
თუ გამოგიტყდი ჩემს სიყვარულში, ნუ შემომხედავ ცერად.

## ფიქრიას

შენ წახვალ ერთხელ დამეკარგები,  
ქარში ფოთლები როგორც მიქრიან,  
გაზაფხულივით მომენატრები  
ატმის ყვავილო, ჩემო ფიქრია.  
ბედი რა არის ან უბედობა,  
ცხოვრება ბევრჯერ მწარედ გამოგცდის,  
მაინც აიღე მახვილი ხელში  
ნუ გეშინია ბედის გამოცდის.  
აზრი ყოფითი შორს მიატოვე  
თავს მოერიე ისევ დღეიდან,  
რომ ეს ცხოვრება გალიო ისე,  
როგორც გისურვებს შენი დეიდა.  
შენ გაიმარჯვებ, თუ დამარცხდები  
მჯერა, რატომდაც, ლელოს გაიტან,  
არ გამოვიდა?! ხელს ნუ ჩაიქნევ  
და წამოიწყე ისევ თავიდან.

\*\*\*

მე თუ ოდესმე მოველ შენამდე,  
შენს გულში თუკი შემოვალწიე,  
მთელი ცხოვრება გელი მდუმარედ,  
როგორც ელიან მთები არწივებს!  
შენ ალამაზებ ქვეყნად სიცოცხლეს  
და ჩემს ცხოვრებას ისე ამშვენებ,  
თუ დაანგრიე ეს სიყვარული  
ნეტავ სანაცვლოდ რას ააშენებ.

\*\*\*

სხვისი ხარ და ჩემად როგორ გიგულებდი,  
მართობდი და ერთობოდი მხოლოდ,  
მაგრამ მაინც უცნაურად მიყურებდი  
და წახვედი, მიმატოვე ბოლოს.

\*\*\*

შენ არ გეგონოს, რომ ადვილად დამიმორჩილებ;  
ვერ ვეგუები ბატონობას, რკინის ბორკილებს,  
თუ შენი რაში სწრაფად მიქრის, როგორც მერანი  
ისე, არც ჩემი ლურჯა ცხენი წაიფორხილებს.

\*\*\*

შენთან მოსვლა მწადია; მუდამ შენთან ვიქნები  
და როგორც კი მინატრებ, შენთან გადმოვთრინდები,  
უცხო ხმაზე გიმღერებ, დაგატყვევებ, დაგატკბობ,  
ვიცი, ცივი გული გაქვს, მე კი ვცდი და გავათბობ.  
მიგდებული ჩანგი ვარ, სული მიდგას სიმებად,  
ქვეყანა მოვიძულე, შენდა დამრჩი იმედად.  
და თუ მაინც ხელი მკარ, დამიწყდება სიმები  
ამას ვერ გადავიტან, ჩემი მკვლელი იქნები.

\*\*\*

მე უშენობამ მასწავლა დარდი,  
მე უშენობამ ცრემლი გამიშრო,  
მინდა, ყანწით ვსვა ეს ღვინო შავი  
და უშენობით მაინც დავითრო.  
შენს ქუჩაზე იები წვიმს,  
ჩემს ქუჩაზე ცრემლი წვიმს,  
შენს ქუჩაზე ვარდებს ფენენ,  
მზეც შენ განვდის ყველა სხივს.  
არ გეგონოს, შენი მშურდეს,  
მე რად მინდა ვარდები,  
მხოლოდ ღიმილს ვნატრულობ და  
წყალში გადავვარდები.  
გინდა, ღვინოს დააბრალე,  
გინდა — ყანწებს, უძიროს,  
ამ ცხოვრებას სულ ფხიზელმა  
ჩემმა მტერმა უცქიროს.

\*\*\*

შეჩერდი, წამო!

როდემდე უნდა სვა სისხლი და ეს გული ჭამო,  
დრო მიტევების არ დამდგარა ჯერაც მტანჯავენ  
და ასჯერ ახსნილ ბორკილს ხელზე ისევ მაბამენ!  
დაღლილა სული, გულწასული ვარ აღსარებად,  
შენი სურათი, შენი ხატი, თვალიდან ქრება,  
მოხვედი მაშინ, როცა უკვე აღარ გელოდი,  
და გულში უკვე ჩავისახლე სხვა ანგელოზი.

\*\*\*

ღმერთან მივალ, უღმერთობას შევჩივლებ,  
ამის მეტი, აბა, რა დამრჩენია,  
ჩემს თეატრში მე შენ ვერ გათამაშებ,  
ჩემს თეატრში ყველა როლი ჩემია.  
მე რომ გიხმობ, სულაც დამეკარგები,  
შენ როცა გსურს, მხოლოდ მაშინ მოდიხარ,  
შენს ჭკუაზე მაინც ვერ გამატარებ  
მე იაფი მოცეკვავე როდი ვარ.  
ამაოდ გსურს, მე თოჯინად მაქციო  
შენი ფიქრი ერთი საპნის ბუშტია,  
თუ ცხოვრება ჩემთვის არის თეატრი  
ეს ცხოვრება შენთვის ჰოლივუდია.  
მსახიობობ? ნიჭი არ გაქვს, იცოდე,  
მთავარ როლში მიგინვიეს როდიდან,  
ჩაგიცვია თეთრი შარვალ-ხალათი  
— ეგ ფასონი გადავიდა მოდიდან.

\*\*\*

ჩუმი ნისლი დასწოლია ქალაქს  
და ტყემლები დედოფალებს ჰგვანან,  
არყის ხეებს დასკდომია კვირტი  
ჭადრები კი... პანაშვიდზე დგანან!  
აპრილია — ტკივილია გულში,  
ტიტების ზღვა მოსდებია ასფალტს,  
დედის ცრემლებს დაუნამავთ ქუჩა  
ზედ ტიტებმა გაიარეს ალბათ...

## ზღვაზე

ვერ შეველიე ჯერ ისევე თბილ სანაპიროს,  
სხივები ზღვაზე ირწევიან გადაღლილები,  
მაინც ვერ დავთმე ეს ლამაზი ფერთა თამაში,  
დიდი ხანია წაიშალა გზაზე ჩრდილები.  
აგერ, მზე უკვე ჩაესვენა თითქოს ტალღებში,  
წყალი ლიცლიცებს, იღებება, ისევ თავს ირთობს,  
მზეს გაუშლია ოქროს თმები, ისე მიცურავს,  
უკანასკნელად გაიბრწყინებს... მერე თავს იხრჩობს.  
ვერ ავიტანე, შემეკუმშა გული ღალატით...  
მარტო ვიგრძენი ჩემი თავი ასეთ ღამეში,  
როცა ცის თაღზე ეტლით მთვარემ ჩამოიარა —  
მზის დასახსნელად მე და მთვარე ზღვაში ჩავეშვით.  
ჩვენ მთელი ღამე დავეძებდით, მაგრამ ვერ ვპოვეთ  
და განთიადმა, როცა ნაპირს შემოანათა,  
ცაზე გამოჩნდა მოჩვენებად მზე თვითმყოფადი,  
სიცოცხლითა და სიხარულით სავსე კალათა.  
ისევ გაივსო სანაპირო უცხო წყვილებით,  
მზეს კი უცინის თვალები და თითქოსა ჰყვავის,  
ნუ აწყენინებთ, გევედრებით, ნუ აწყენინებთ!  
მას ცოტაც კმარა, რომ ისევე დაიხრჩოს თავი!

\*\*\*

ეს ცხოვრება ჩემთვის გახდა მრუდე სარკე,  
ამ სარკეში ყველაფერი მრუდეა,  
მე ამქვეყნად აღარაფრის არა მჯერა,  
ჩემი სული ეშმაკების ბუდეა.  
არაფერი არ ამიხდა, რაც ვინატრე,  
რასაც ვთხოვდი ლოცვით წმინდა მარიამს,  
მე სიცოცხლე მექცა მძიმე სატანჯველად  
ბედი ჩემი ჯოჯოხეთზე მწარეა!..

\*\*\*

სისხლის გუბეში იხრჩობიან ჩვენი შვილები,  
ჩვენი ცოდვისთვის უმოწყალოდ შენირულები  
იქნებ, როგორმე გათბებოდეს ცივი გულები,  
თითქოს, ზეციდან მოგვტირიან განწირულები.  
რა შეუძლია პანაწინა უმწეო ცრემლებს,  
იქნებ, სიცოცხლე რანაირად ენატრებოდათ,  
იქნებ, უნდოდათ, დაენახათ დედის თვალები,  
მითხარი, ვინ და ან კი რისთვის ემართლებოდათ.  
რამდენი ნიჭი დაიკარგა დილის ნისლივით,  
რამდენ სიყვარულს დაეხურა მძიმე კარები,  
ცოდვის სახსნელად ანთებულა ბევრი სანთელი  
მონანიებას ქადაგებენ მცხეთას ზარები!..

\*\*\*

ოცნებას მივენდე, როგორც ქარს — ფოთოლი  
და უმისამართოდ ვიფრინე ჰაერში,  
მომქანცეს ქარებმა უაზრო ფართატით,  
მერე შენს ფეხებთან დაღლილი დავეშვი.  
მიმიღე, უფალო, ვით ძე შეცდომილი,  
რომელსაც ცხოვრების გზაკვალი აებნა,  
მე მსურს, ვუგალობო აღდგომის სასწაულს  
და შენ დაგელოდო სამოთხის კარებთან.  
რადგანაც ცხოვრება წუთია ამქვეყნად  
შენთან კი ცხოვრება გრძელდება მარადის,  
იესო გევედრი, შენ ხელი მომკიდე

და ისე მატარე სამოთხის კარამდის.

ვიცი, რომ შენ ჩემთვის მოხვედი მიწაზე

და არ გენანება, მომცე მე წყალობა,

მიიღე შენ მსხვერპლად ეს წმინდა ცრემლები

და მონანიებად ეს ჩემი გალობა.

როდესაც, უფალო, დიდი დღე დადგება,

როდესაც, უფალო, სულ ერთად ვიქწებით,

აგიხსნი, თუ როგორ მოვედი შენამდე,

აზრით და გონებით, სულით და ფიქრებით!

## ოქროს თევზი

მარცხნივ წახვალ — იღუპები, მარჯვნივ წახვალ — ინანებ,

შუაგზაა ეს ცხოვრება, ამღვრეული მდინარე.

ზოგს ანკესიც დაჰკარგვია, ზოგი ფაცერს პოულობს,

ზოგს რაც ჰქონდა, აღარა აქვს, ზოგიც გროშებს შოულობს.

მღვრიე წყალში ადვილია, ძნელი არის საცქერლად,

განა ყველას შეუძლია ოქროს თევზის დაჭერა.

დაიჭერ და თუ გაუშვი, აღარ გქონდეს იმედი,

ოქროს თევზმა წამოგიდგას სასახლე და ბინები.

წულა გჯერა ოქროს თევზის, ხომ არა ვართ ბავშვები,

თუ ის თევზი დავიჭირე, აღარა ვარ გამშვები.

აქამდე თუ ატყუებდა პეტრეს, პავლეს ადვილად,

დავიჭირო, დავბრანავდი, მივირთმევდი სადილად.

აღარც იმის ფიცის მჯერა, ეს მასწავლა ცხოვრებამ,

რაც მაგ თევზმა მამწვნეინა, მე სულ მემახსოვრება:

— ერთხელ, როცა ვთევზაობდი, ქარი ქროდა ძლიერი

ჩემს ფაცერში თევზი მოჰყვა, ეშმაკი და ცბიერი.

შუქს აფრქვევდა ალმასივით, იდგა, ლამაზმანობდა,

ტკბილ ჰანგებად იღვრებოდა, ბულბულივით გალობდა,

აცრემლდა და ამაცრემლა — რად არ გაქვსო შენ ბინა

და იმდენი რამ შემპირდა, თავი გამაშვებინა.

მე არც ვინმემ ბინა მომცა და ვთევზაობ ახლიდან,

ლამისაა, გამომაგდონ საკუთარი სახლიდან.

ვეღარც თევზებს დავუჯერებ, ვერც ბულბულებს ვენდობი,

არც ანკესის მჯერა, მაგრამ ვთევზაობ და ვერთობი.

## ლიას

ჩემს ოცნებაში ერთი ქალია,  
ის საუცხოო მომღერალია  
და თუმცა მუდამ ჩემთან მწყრალია  
მაშინებს, როგორც ჩიტსა — გალია.  
მის სულთან მუდამ გზა სავალია,  
მისი სიცილი მზეს ავალია  
სიტყვები მისი კლდეა, სალია,  
მასთან გრძნობები დასამალია.

## გოგია

ჯვარპატიოსნის ეზოში გაზრდილა ბიჭი გოგია,  
კალმით ნახატი თვალნარბინი, ცეკვა-თამაშში მჯობია.  
უხდება ჩოხა ქართული, ქამარ-ხანჯალი ფშავური,  
ვაჟკაცს თუ ხმალ არ უხდება, იმის ფასია შაური.  
ახალ ამოშლილ ულვაშზე, ხელს გადაისვამს მცინარი,  
მარჯვენა ვადაზე უძევს, ვნახოთ, კაი ყმა ვინ არი!  
ხორბალოს ტყეში ყაჩალებს ბინა დაედოთ მარჯვედა,  
შეუწუხებავთ ქვეყანა, მეტადრე ჩვენი ახმეტა.  
ადგა, დედისძმას ეახლა, მართალია თუ ჭორია,  
კამეჩებს აპამს ურემში ალვნიდან არცთუ შორია.  
თავზე დაადგა ფირალებს დოშის ბიჭია ნამდვილი,  
იარალს აჰყრის ყაჩალებს, ლამის დაჰხუროს მანდილი.  
შორით მოსული გაუშვა, ნაცნობს გამოსდო ისარი,  
შეშის დაჩეხა ინება, ჯაგრცხილისა და იფანის.  
კარგად გაავსო ურემი, კამეჩებს მეხრე უხდება  
აბჯარაყრილი ყაჩალი, გოგიას რა გაუხდება.  
შეშა დაცალა ეზოში, დედისძმას მისცა ნიშანი,  
ისეთი რამე ეწადა, ვერ გაიგებდა მისანი.  
დასვეს, გაკრიჭეს ფირალი, ბიჭი ყოფილა ჯეელი  
გოგიამ გზას გაუყენა, „ნადი და ნახე ხეირი,  
იარე, კაცად ივარგე, ძარცვა რა კაცის წესია,  
სიკეთით გადაუხადე, რაც ავი დაგითესია.  
ვაჟკაცი არ დაილევა, კაცი კაცისა მჯობია,  
არ დაივიწყო, იცოდე, ძებნიაური გოგია“.

\*\*\*

ტყვია მომკლავს თუ თოკი დამახრჩობს,  
ნუ გადათელავ ჩემს წინ ყაყაჩოს,  
შავხალებიანს, წარბ-წამნამებით,  
სულს ნუ ამოხდი ტანჯვა-წამებით.  
გეყო ამდენი სისხლი დაღვრილი,  
არ განმეორდეს კვლავ ცხრა აპრილი,  
ასი ნათია, ასი გიორგი, ასი ელისო, ასი თამარი,  
შენ საქართველო ფარად გიჭირავს და გავიწყდება უფრო მთა-  
ვარი.  
გათვალე შენი დრო და მანძილი,  
იქნება შედგე! იქნება კმარა!  
ძვირი დაგვიჯდა არშემდგარი თავისუფლება  
ლირს კი ამდენი? მე მგონი არა!..

## ანაბელას

შალომ, იზრაელ! შენი ზეცის სხივებს ავკრეფავ  
და წმინდა მინას დაჩოქილი, ჩუმად ვემთხვევი,  
მადლობას გიხდი, ანაბელა რომ დამიბრუნე  
და სიყვარულით შემოგეხვევი.  
შალომ, იზრაელ! მე ორმა წელმა ბევრი დამაკლო,  
დღეს ბედნიერი თურმე დილა გამთენებია,  
მოლოდინს მაინც, როგორც იქნა, ბოლო მოელო  
და გაბზარული სული-გული გამმთელებია.  
შალომ, იზრაელ! ანაბელა! მე შენ მიყვარხარ!  
შალომ, იზრაელ! ანაბელა! ნუ დამცილდები!  
შალომ, იზრაელ! ანაბელა! ნუ მიმატოვებ!  
შალომ, იზრაელ! ანაბელა! მე შენ მჭირდები!

\*\*\*

ჟიპიტაურით გამომთვრალან ლაშარს ფშავლები  
და ბოლმა ძალლი აღავლავდა გარეთ თეოზე,  
შემივსეთ ყანწი, მე სიფხიზლე აღარ მწადია,  
უნდა დავლიო, ერთხელ მაინც, სანაძლეოზე.  
იქნებ, როგორმე ამოვყარო გულის დარდები,  
ჟიპიტაური, იქნებ, ენა ამადგმევინო,  
ნათხოვარ ფანდურს გავუსინჯო ნაზი სიმები,  
მკვნესარე ხმებმა იქნებ სული მომათქმევინოს.

\*\*\*

შარიანი ხარ, ქარო თებერვლის,  
რას მთხოვ, რაც არა მოგიტანია,  
თუ რამე მქონდა, უკვე წაიღე,  
აღარც გემდური დიდი ხანია.  
დრომ მოკლა გულში იმედის სხივი  
და შენთან დავას აღარ ვაპირებ,  
აღარ მოველი მარტის სიანცეს,  
აღარ მოველი მფეთქავ აპრილებს.  
ქარო თებერვლის, ახლა ვარ მარტო,  
შენთან საუბარს შევყევი დიდხანს,  
არავინ მეტყვის — ვტირივარ რატომ,  
რატომ ვარ მარტო — არავინ მკითხავს.

\*\*\*

ცაში ღრუბლები ჰეგვანან თეთრ რაშებს  
და გამუდმებით სადღაც მიჰერიან,  
გადაივლიან ცეცხლოვან გორებს,  
ყინულიან მთებს გადაივლიან.  
უცხო ქვეყნების ნახავენ აპრილს,  
უცხო ყვავილთა მოხიბლავს გემო,  
მე კი ვერ დაგთმობ, ვერ წავალ ვერსად  
ისე მიყვარხარ, მამულო ჩემო.  
ბუმბერაზ მთებს და არწივთა ბუდეს,  
მამადავითზე მგმინავ დმერთკაცებს,  
როგორ ტოვებენ ნებით ქართველნი,  
ვფიქრობ და ქარი ფიქრებს შემტაცებს.

\*\*\*

მუხების ჩრდილში იდგა ირემი.  
არ მოელოდა იქ მონადირეს,  
ის დიდი ხანი მოსდევდა ნაპირს  
ალბათ დილითვე ასცდა სატივეს.  
სველი ცხვირით და შავი თვალებით  
ის ფიროსმანის ვამსგავსე ნახატს,  
ხარირემს ელის მუხებთან ფური,  
უთუოდ მოვა და სატრფოს ნახავს.  
ალბათ, შენც ასე მომინადირებ,  
შავი თვალებით ემსგავსე ირემს,  
ვაი, რომ შენ სხვა მოგინადირებს.  
იცოდე, შენი მათრობს გიტარა  
ლალი ირემი შერჩება ნახატს  
ისაუბრებენ ის და ნიკალა.

## სიმართლე

იქნებ მიჰყვები სანაპიროს ჩუმი ღიღინით  
და შენს ფიქრებში ცოცხლდებიან ძველი განცდები.  
კაცი იყავი, სიტყვის კაცი, იყავ მართალი  
და შენს სიმართლეს ნუ გადასცდები.  
მაგრამ სიმართლე, მეგობარო, ისე ძვირია,  
სისხლით გვიხდება საფასურის გადახდა ხშირად,  
არ დაივიწყო, გროშად ფასობს შენი სიმართლე  
სიცოცხლე შენი თუ შეიწირა.  
ეგ შენი სული, კელაპტარი წმინდა სიონის,  
კვლავაც რომ ენთოს ნდობის გზაზე და თავდადების,  
გმართებს მოთმენა, მირაჟია რადგან სიცოცხლე  
და ნურასოდეს დახურდავდები.

\*\*\*

როგორც სამყაროს აქვს დასასრული,  
ჩვენი ცხოვრება არ გვათამამებს,  
როგორც ცის ნამი ეცემა ვარდებს,  
ჩემი ცრემლები სწყდება ნამნამებს.  
შენ არ გეგონოს, იმ წლებს ვემდური,  
როცა ორივეს გვწვავდა ალები,  
თუმცა წახვედი, შენ „სხვა“ იპოვე  
იმ „სხვაზე“ უფრო მე ძეყვარები.  
მე არც ბულბულის გალობა ვიცი,  
შარბათით მე ვერ დაგატებე იქნებ,  
იქნება, მე ვარ მიზეზი ისევ,  
რომ დაბრუნება ვერ მოიფიქრე.  
ვზივარ სარკმელთან, ჩუმი ლოდინით,  
შენს ნახვას ვნატრობ, როგორც თოლია,  
თუ დაგავიწყდი, რად მესიზმრები,  
ვეძებ, პასუხი ვერ მიპოვია!..

## გამიღე

სულ მუდამ მიყვარდი, სულ მუდამ მიყვარხარ,  
სულ მუდამ მე შენ მეყვარები,  
მე შენთან მოვდივარ, სიყვარულის ლოთი ვარ,  
გამიღე, გამიღე კარები.  
რა დათვლის ამ წამებს, რა დალევს ამ წამებს,  
ისევ ის წამები მაწამებს  
და ვეღარ ვივიწყებ, ვერც ერთი წამითაც  
შენს ლამაზ თვალებს და წამნამებს.  
მე სიყვარულისგან გავლოთდი, აბა, რა,  
მე შენი გულისთვის გავხდები ავარა,  
მხოლოდ სარკმელთან რომ ვარდებს მოგიტან,  
ნუღარ მიატოვებ ფიქრების ამარა.  
მაგ თვალებს, შავ თვალებს ვთხოვდი, ნუ მაწვალებს,  
სულ მუდამ მე შენ მეყვარები,  
მე შენთან მოვდივარ, სიყვარულის ლოთი ვარ,  
გამიღე, გამიღე კარები!

\*\*\*

დიდება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია,  
იმედით გიმზერს სიცოცხლე ახლა,  
აღმართი ყველა ძნელია, მაგრამ  
ნატვრისთვალია მწვერვალზე ასვლა.  
აბა, რას შესთხოვ ოლიმპოს ღმერთებს,  
ნიმფებმა ყველა გაჩუქეს მადლი,  
ანგელოზებმა გიმღერეს ნანა,  
თუ დაგრჩა რამე კიდევ სანატრი.  
ენდე მომავლის მაღალ მწვერვალებს,  
ნუ დასჯერდები პატარა ბორცვებს,  
არ დაივიწყო, რომ რჩეული ხარ,  
ძალას კი შენი იმედი მოგცემს.  
ერთი მიზანი, როგორც ისარი,  
შენს ცხოვრებაში კომპასად გქონდეს!

\*\*\*

ცა ისეთი ლურჯია,  
ცა ისეთი შორს არის,  
ცა ისეთი ნაზია,  
როგორც მინდვრის შროშანი.  
შენ ისეთი შორი ხარ,  
შენი სახე შორს არის,  
შენ ისეთი კარგი ხარ,  
როგორც მინდვრის შროშანი.  
მომენატრე, როგორც ცა,  
შენც ცასავით შორი ხარ,  
ისევ არ დამეკარგო  
ჩემიც არა მგონიხარ.

\*\*\*

რაღა ვწერო, რა ვიმღერო,  
თითქოს გული დამეცალა,  
ვინც მიყვარდა ან ვუყვარდი  
ყველა გაქრა, გამეცალა.  
რა ვიტირო, რა ვიგლოვო,  
სად ვილოცო ჩემი ღმერთი.  
ვილოცებდი, მაგრამ უკვე  
ლოცვა არ ჭრის აღარც ერთი!

## ტორეადორო!

ტორეადორო!

შენს წინ ხარია;

იცინი ისევ? რა გიხარია,

როგორ გიხდება ძალუმ ფეხებზე ეგ თასმიანი წვივსაკრავები  
და ვერც კი ხვდები, როგორ გაები.

ტორეადორო!

მარჯვედ ირიდებ ხარს და ესვრი სამ ისარს,

აგერ შენს წინ მომაკვდავი ხარია,

ზედა იარუსზე რომ ლამაზი ქალია,

მას შენ უყვარხარ.

ტორეადორო!

ნუთუ ვერ გრძნობ ისარს გულში,

გამოგიტყდეს სიყვარულში!?

გიტევდა სისხლით მთვრალი და მფრთხალი, შეშლილი ხარი  
და ლოცულობდა უცნობი ქალი,

„ნეტავ შენს გამჩენს:

ღმერთო, გადარჩეს ტორეადორო!!!“

\*\*\*

შემომხედავ და ავინთები, მენვის სხეული,

ჩუმად ჩაივლი, უკან მოგდევს გული წყეული,

ვარდის ფურცელი გადაგშლია მაცდურ ბაგეზე,

მეც საუბარი მომინდება შენთან ღამეზე.

## ვაი-რამა

იზიდას მახვილი, თემიდას სასწორი,

წმინდა სარეცელი და ბილწი საწოლი,

ხე და რა ფოთოლი, ზღვა და ზღვის კენჭები,

სარკმელზე ფარდები, ფიქრი და ეჭვები.

გული და ისარი, მუხლი და დოლაბი,

ფარი და მახვილი, თიხა და ფოლადი!

თოვლი და ყინული, ნამი და ნაცარი;

ძილი და სიზმარი, არც არის, რაც არის...

ქვიშა და უდაბნო, ოზისს ვერ ვხვდები,

მირაჟი მგონია ეს ჩუმი ვერხვები...

\*\*\*

შენ არც კი იცი, ყველა ცოდვისთვის  
რომ გახდი ჩემი დიდი სასჯელი;  
ვინ მომცემს ნებას, რომ მოგეფერო,  
თუმცა უშენოდ დღემდე გავძელი.  
ო, როგორ მინდა, რომ ვიყო მონა,  
დამე ვათიო შენთან ლოცვაში,  
და შენი ბაგის ვარდის ფურცლები  
დავშალო ხოლმე ხვევნა-კოცნაში.  
ჩვენი ერთობა გახდა საშიში,  
ხანდახან მინდა, შემოგეხვიო,  
ისე მიზიდავ, როგორც თილისმა  
და მეშინია, რომ არ გემთხვიო.

\*\*\*

გულო, ანთებულ ლამპარს ემსგავსე,  
რამ გაგიჩინა ასე ბზარები,  
ასე რად სწუხხარ ან რატომ კვნესი  
სიყვარულისგან ნაზიარები?!  
თვალები თაფლის სანთელს ემსგავსნენ,  
სახეს ემჩნევა ცრემლად ნალვენთი,  
მუდამ ერთ გრძნობას ვედექი მონად  
და არც ყოფილა ქვეყნად სხვა ღმერთი.

\*\*\*

ხომ არ მიჯავრდები, ნეტავ?  
უფრო ცივი ხდები, ვხედავ;  
შენი მოფერება მინდა,  
ამდენს ამიტომ ვბედავ.  
არაფერს მოგთხოვ სხვას,  
თითები გეძებენ შენ,  
ავად ვარ, მოვკვდები ხვალ  
მხოლოდ შენ მომარჩენ.  
რა მოხდა, გაკოცებ ჩუმად,  
ვეღარ მოვერიე თავს,  
ამდენს რომ გიმხელს ქალი,  
ალბათ მათხოვარს ჰეგავს!

## თეთრი რაში

ცხრა მთას იქით, თეთრი დევის სამეფოში,  
ერთ ხელმწიფეს ჰყავდა ერთი თეთრი რაში  
და როდესაც რაში ზეცად გაუფრინდა  
საყვარელი რაში გამოკვეთა ქვაში.  
იდგა რაში საკვირველი თეთრ ფიქალში  
გაოცების შეძახილი იყო ხალხში,  
ფრთაშესხმული თითქოს მაღლა მიიღებოდა,  
თითქოს სურდა მასაც ფრენა შორს ზეცაში.  
ის ტყვე იყო შებორკილი იმ თეთრ ქვაში,  
რად უნდოდა სხვების ვაშა ანდა ტაში,  
სიყვარულმა გამოკეტა სამუდამოდ,  
ვერ დაიხსნის თავს ხომ ქვიდან თეთრი რაში.  
ჩამოლამდა მთვარის ბილიკს ვიღაც მოსდევს,  
თითქოს ტირის, თითქოს მოსთქვამს ვიღაც ქარში,  
ხელმწიფეა — უგვირგვინოდ, ფეხშიშველი,  
მოდის იგი, რომ იხილოს თავის რაში.  
ეამბორა, მოეფერა და წვიმაში  
ერთი კიდეც შეფრთხიალდა თეთრი რაში,  
იღებს მახვილს, მეფე წამით მუხლზე დგება  
და მარადის რაშის სხეულს უერთდება.  
და ძირს ყრია თეთრი რაშის თეთრი ფრთები,  
შერჩენია აქა-იქა სისხლის წვეთი.  
დაისისფრად შეღებვია მკერდი მერანს,  
აპატიებს თვითმკვლელობას მეფეს ღმერთი?!  
მაშ რა ექნა მეფეს, თუნდაც გვირგვინოსანს,  
თუკი ასე შეუყვარდა თეთრი რაში,  
რომ მერანი გამოკვეთა თეთრ ფიქალში  
არ გაცვლიდა ქვეყანაზე არც ერთ ქალში.  
დიდხანს ალბათ სამზეოზე ზღაპრად, მართლად,  
ივლის ხალხში მოგონებად თეთრი რაში  
და განსჯიან სწავლულები მტყუან-მართალს  
მითი იყო თეთრი რაში თუ მირაჟი.

## ლოდინი

დრო და ლოდინი გულს მიწყალებდა  
და ვიღლებოდი, სული კვნესოდა,  
ნლები მიჰქროდა უტყვი და ცივი  
ბედი მდევარი კი ქვებს მესროდა.  
როცა არავის ალარ მოელი,  
ლოდინის არ გაქვს უფლება როცა,  
ჩათვალე, არც შენ გელიან არსად,  
ერთი ფასი აქვს წყევლას და ლოცვას.  
გავიდა ნლები, მე ალარ გელი  
დროც არის ფიქრთან გამოთხოვების,  
თურმე ლოდინი, თუნდაც უაზრო,  
აზრი ყოფილა მაინც ცხოვრების.

\*\*\*

შენ ჩემი ციხის თეთრი სვეტი ხარ,  
ამ ქვეყანაზე ჩემთვის მოდიხარ,  
მნახავ არეულს, მეტყვი — ლოთი ხარ  
და ჩემს ქუჩაზე ნულარ მოდიხარ.  
შენ ჩემი ციხის თეთრი სვეტი ხარ,  
ხარ ანგელოზი ჩემი ედემის,  
ისევ მშორდები, ისევ მიდიხარ  
და მე უშენოდ ვცარიელდები.  
შენ ჩემი ციხის თეთრი სვეტი ხარ,  
შენთვის მსურს სანთლის დანთება მხოლოდ,  
იცოდე, ცეცხლი შემომნთება  
და ხელში ფერფლი შეგრჩება ბოლოს.  
შენ ჩემი ციხის თეთრი სვეტი ხარ  
და ვიდრე მებრძვის ჩემი სხეული,  
ჩამოჯექ ახლოს და მოგიყვები,  
რატომ დავდივარ მე არეული.

\*\*\*

მე შენ არ გეტყვი, რომ მიყვარხარ, რომ მენატრები,  
დიდი ხანია გამოგიგლოვე, როგორც ბავშვობა,  
დამენანება ის დაღვრილი ცრემლი ანკარა,  
უმისამართოდ გაფრენილი ახალგაზრდობა.  
წლები, რომელიც შენ წამართვი — არ დამიბრუნე,  
შუქი თვალების, რომელიც შენ არ დააფასე,  
ჩემი გრძნობები რომ დაფანტე ქარს აყოლილმა,  
განა წამებად გაჩნდი ჩემად ამ ქვეყანაზე?!

\*\*\*

წითელი მთვარე ცას შემორჩა, როგორც იარა,  
მკვნესარე სატრფოს დაემსგავსა რიურაჟზე ზეცა,  
მესიზმრა, თითქოს ალავერდში შემოდიოდი,  
რეკავდნენ ზარებს — ღმერთქალივით ატლასი გეცვა.  
იღიმებოდი, გიყვაოდნენ თვალთა იები,  
სანთელთა კრთომას ირეკლავდი ბაგე წყობილი,  
წმინდანთა ხატებს, თითქოს, ჩრდილი გადაეფარა,  
როცა იხილეს სილამაზე პირველყოფილი...

\*\*\*

რით დაგაჯერო, მე ის არა ვარ,  
შენ რომ გაცვლიდი ყოველდღე სხვაზე,  
რით დაგაჯერო, მხოლოდ შენ მყავხარ,  
შენ ხარ ვარსკვლავი ჩემს წილ ზეცაზე.  
რით დაგაჯერო, მე ის არა ვარ,  
სული ჰერგის ჩემი ღრუბლების კონას,  
ჩემს სამეფოში ვარ დედოფალი,  
შენ კი მექცევი, როგორც ყრუ მონას.

\*\*\*

თეთრო ფურცელო, ციდა ფურცელო,  
ჩიტისფეხებავ შავი ხაზებით,  
ჩემი ფიქრების თავშესაფარო  
გადავსებულხარ მშრალი ფრაზებით.  
გულში დაჭრილი ავტირებულვარ,

ხორცი ბაზარში გამიყიდია,  
მაგრამ ეს სული ბროლივით სუფთა  
ნუ გეგონება ცრუ და ფლიდია.  
ჩემს სამეფოში ანკარა წყარო  
წმინდა ცრემლებად ისევ იღვრება,  
აბიბინებულ მწვანე ბალახზე  
დაიშლებიან მარგალიტებად.

## რაინდს

### პასუხი გიორგი ბალახაშვილს

მოდი, რაინდო, ჩემს კარავში ფეხი შემოდგი,  
აქ ხალიჩები ბუმბულებზე უფრო რბილია,  
ღვინის თასებში ჩირალდნები აცეკვდებიან  
და თუ მიწაზე სამოთხეა — ეს ადგილია.  
დაჯექ ჩემს გვერდში და თრიაქის რძისფერ მირაჟში  
მე შენს მაჯაზე ათრთოლებულ ფეთქვას დავითვლი,  
ნუ შეიქმნები ტყვე იმ გრძნობის, რომელსაც არ სცნობ,  
თორემ საწუთოო ამ ტყვეობას ცოდვად ჩაგითვლის.  
არ ვიცი, რატომ მომინდა, რომ რაღაც აგიხსნა,  
რაინდო ჩემო, რად მიელტვი უცხო ლაუვარდებს,  
განტოლებები, მონმარტრი და თუნდაც კაბარე  
შენს განცდილ გრძნობას, იცოდე, რომ არაფერს მატებს.  
ბოდლერს ამტყუნებ, აუმხედრდი საწყალ მეძავებს,  
ჩემო რაინდო, ეს ხომ უკვე სისასტიკეა,  
ხორცი ბაზარშიც იყიდება, თანაც ბითუმად,  
შენ არ გინახავს ის ადგილი, სულს რომ ყიდიან.  
ჩუ, იყავ წყნარად, შეისუნთქე თეთრი სურნელი,  
ცირკთან ჩამდგარი აჩრდილების სულნი ტირიან,  
რადგან ისინი გადაიქცნენ მაყურებლებად  
და ვინც იქ დადის — არლეკინია.  
ასე ერთ ცირკად გადაიქცა მთელი სამყარო,  
მთავარ მასხარას შეუმცირეს ხელფასი რადგან,  
თავს არ იწუხებს, რომ დაიცვას ქცევის ნორმები  
და ბალაგანსაც, დამიჯერე, ცუდი დღე ადგა.

თუ გრძნობა შენი სულს ედება, როგორც ეთერი,  
თუ ლამე სიზმრებს იგერიებს შეცხადებული,  
რა გაეწყობა, მაშ ტიტული მიბოძებია,  
შენ ხარ რაინდი სიყვარულზე შეყვარებული.  
ცოდვაა კაცი, სიყვარული თუ არ სწვევია,  
ასჯერ ცოდვაა, თუ ამ გრძნობად მონად აქცია,  
ხშირად ის თასი, რომელსაც შენ ასე მიელტვი  
ერთი უბრალო, ცარიელი, თიხის თასია.  
სამყარო ჩვენი რებუსების არის ოსტატი,  
მათი ამოხსნა, ვინ რა იცის, სად მიგვიყვანდა,  
იქნებ არც კი აქვს აზრი იმას, რა იყო თასში  
თუ ფიქრობ, რომ შენ გულით გიყვარდა.  
შესვი შარბათი, ოცნებებში ესტუმრე ჰარემს,  
ნაზი აკორდი ბარბითების დაგიტკბობს სმენას,  
ოქროს ქოშები შეაგებეთ კართან დედოფალს,  
კაბა-ხაბარდა ააუღერებს დახურულ სცენას.

## თამარას

ომარაულის ველზე გაშლილო  
ყვავილო ქალო და მეგობარო,  
ორმოცდაათ წელს ერთად ვიარეთ  
ახლა რად გინდა, რომ გამეყარო.  
დე, თბილი იქნეს შენთვის ეს მიწა,  
დე, მშვიდი იქნეს სულთა საუფლო,  
ნუ მიგვატოვებ, დარჩი ჩვენს გვერდით  
ხანდახან მაინც რომ გესაუბრო.  
რა ვქნა, ვერაფრით ვეღარ გიშველეთ  
ასეთი არა გამიგონია,  
შენმა შვილებმა ბევრიც ეცადნენ,  
სიკვდილს ხომ გული არა ჰქონია.  
გაზაფხულია, იღვიძებს კვირტი,  
გამოანათებს მზე სხივოსანი,  
ალალი იყოს შენთვის ცრემლებიც  
გფარავდეს ჯვარი ჰატიოსანი.

## შვილს

თვრამეტის გახდი!!!

შენს მეოცნებე თვალებს შევცქერი.

ავფრინდე მინდა! სიმღერა მინდა!

მაგრამ ვერ ვმღერი.

მინდა, მოგეყრდნო, შენი გულის ვისმინო ფეთქვა,

იქნებ, როგორმე გავაგონო, რაც უნდა მეთქვა,

ლმერთმა ხომ იცის, არ მინდოდა შენი დათმობა,

მაგრამ შემოქმედს არ სჭირდება ჩვენი თანხმობა.

და რადგან მაინც დაგვაშორებს დრო და მანძილი,

მონატრებაა ასატანად არცთუ ადვილი.

\*\*\*

მერცხალივით შემოფრინდი ჩემს ოდაში,

ალბათ ძლიერ შორი გზები გიფრენია.

მინდა, ახლა მხოლოდ ჩემთვის იჭიკჭიკო,

იმღერო, რაც ვიღაც სხვისთვის გიმღერია.

სად იყავი, მომთაბარე მგალობელო,

ამდენს რატომ მაცდევინე უსაშველოდ,

ნატვრა ხარ და ვეღარ გავძლებ, გეფიცები.

იცოდე, რომ ვეღარ გავძლებ მე უშენოდ.

ნაზი ფრთები დაგღლია და დაგმტვრევია,

ონავრებმა იქნებ ქვებიც დაგაყარეს,

ნეტავ, რატომ არ ვიყავი მე შენს გვერდში,

ალბათ, ციცქნავ, რა ძალიან გაგამნარეს.

თვალებს ასე მოციმციმეს ცისკარივით,

ისრიმისფერ თვალებს ცრემლი შერჩენია,

ანგელოზო, ჩემს ოცნებებს შენ უშველი,

ფიქრი ხარ და ფიქრი ჩემს გულს შესჩევია.

იმედები წლებმა უკვე გამიქარნყლეს,

ქარმა ჩუმი გამახსენა მოგონება,

რაღაც სული ამირიეს, ისეც მღვრიე

ია-ვარდად მოცქრიალე გოგონებმა.

## ფიქრიას

ჩემო ფიქრია, წლები მიჰქრიან  
და ფიფქთან ერთად ფიქრებს მიყრიან,  
ვფიქრობ, არც ვიცი, რით გაგახარო,  
რით აგაყვავო, რა შემიძლია?!  
მინდა, რუსთაველს სწვავდეს კალამი,  
საიათნოვაც შენზე მღეროდეს  
და როგორც „ყველა გზა მიღის რომში“  
ჩემი ფიქრი ხარ, მინდა, გჯეროდეს.  
ხარ ცვალებადი, როგორც ეს მარტი,  
გაზაფხულია შენი საგზალი,  
მომილოცია დაბადების დღე  
ხარ ქალი მუზა, ქალი ხანძარი.

\*\*\*

## თადოს და მაიას ხსოვნას

ჩემი სამყარო მაქვს, ჩემი სასახლე და  
ჩემი უფლისნულიც გვერდში,  
ჩემი ოქროს ტახტი, ჩემი ცის კამარა  
და ოქროს გული მაქვს მკერდში.  
ოქროს მდინარე მაქვს, ბევრი ოქროს თევზით  
ბევრი ვარსკვლავი მაქვს ცაზე,  
წავალ ზღვის ნაპირზე, შენზე ავტირდები,  
იქვე ჩამოვჯდები ქვაზე.  
არც სამყარო მინდა და არც ოქროს ტახტი,  
აღარც ოქროს გული მკერდში,  
თუ არ მეყოლები ჩემო ერთადერთო,  
თუ არ მეყოლები გვერდში.

\*\*\*

## თადოს და მაიას ხსოვნას

უბეში ჩამიქრი თაფლის სანთელივით  
ღმერთებს თუ შეშურდათ ჩემი,  
ჩემო სიყვარულო, როგორ გაგიმეტო,  
მე ხომ ვეღარაფერს გშველი.

უშენოდ დაბნელდა მზე, აღარ ანათებს,  
გულიც აღარ ფეთქავს მკერდში,  
თუ შენ მიმატოვებ, ჩემო ერთადერთო,  
თუ არ მეყოლები გვერდში.

\*\*\*

თამადად ხარ ჩემს სუფრაზე  
საგანგებოდ მოწვეული,  
გაგიშალე ბრონეული  
ჩემი ხელით მოწეული.  
მარგალიტი დაგიბნიე,  
თვალთ გიშერი გიფეშეაშე,  
ალმასები გფინე კალთას  
თვალს ჭრის მათი სიკაშკაშე.  
შენი გულის მოგება მსურს,  
ფიანდაზი გადაგიშალე,  
ფარჩა ტანზე შევიმოსე  
ატლასები ვაშრიალე.  
ღვინო თასში ვარაკრაკე,  
ავაცეკვე დოქმი ღვინო,  
ეგებ, კიდეც გაგიმართლოს,  
სადლეგრძელო გათქმევინო.

## გახსენება

### ეძღვნებათადოძებნიაურის ხსოვნას

მზითნაფერი ჩამომისხით რქაწითელი,  
ორვილისწყლით დაზრდილ ბიჭებს ვიხსენებ.  
ქვაკიბედან მოტანილი წყაროს წყალით  
ორმუხასთან გულმოკლული ვისვენებ.  
აქ გიყვარდათ თავისმოყრა უბნის ყოჩებს,  
ამოყრიდით დედასპურებს უბიდან  
ცეცხლის პირას იწვებოდა მწვადი მწვადზე  
ეს ორვილი იქნებ გაქრეს რუკიდან.  
ახმეტაში ორვილისწყლით დაზრდილ ბიჭებს  
ლოცავენ და ცოცხლად მოიგონებენ  
იციან რომ ეს ვალია სამუდამო  
და ისინიც ამ ვალებს იშორებენ.

\*\*\*

ნეტავი, ვიყო ედემ-ბალი ვარდით, იებით,  
ნაზი ენძელით, გვირილებით, მაგნოლიებით,  
ნეტავი, ვიყო ტბა ფარავნის ლურჯი წათება,  
სირინოზებად მეხვეოდნენ გარს თოლიები.

ნეტავი, ვიყო თეთრი ღვინო, მარანს ვდიოდე  
და სადლეგრძელოს თამადასთან ერთად ვთაობდე,  
ყველა ბედნიერს ხომ სიცოცხლეს დავულოცავდი  
და მიცვალებულს მივყვებოდი სასაფლაომდე.

ნეტავი, ვიყო თეთრი ღვინო, მარანს ვდიოდე  
და თამადასთან ალავერდებს გადავდიოდე,  
ნეტავი, ვიყო წმინდა წყარო, ტყეში ვდიოდე  
და ქვიდან ქვაზე ხტუნაობით ჩამოვდიოდე.

ნეტავ, ხე ვიყო, ერთხელ ისევ ავმწვანდებოდი,  
ჩემს ყვავილებზე ვიღაც მაინც ამღერდებოდა,  
მომეხვეოდა გარს პეპელა ათასნაირი,  
ანგელოზების გალობანი აჟღერდებოდა.

და მაშინ, როცა აღარ გათრობს მარანში ღვინო,  
როცა არ გხიბლავს პეპელების ნაზი ფარფატი,  
თუ ყველაფერი სულ ერთია, აღარ განიცდი  
მაშინ კლდე წახე, წადი-მეთქი, წადი გადახტი.

რა დაგრჩენია, ეს სიცოცხლე წუთია როცა  
და ეს სიცოცხლე შენ ვიღაცამ საჩუქრად მოგცა,  
უნდა იმღერო შემოქმედის სადიდებელი,  
რათა სიცოცხლე დააფასო, ისწავლე ლოცვა.

ნეტავი, ვიყო შენს ეზოში მწვანე ბალახი,  
როგორც დილის ნამს მე შენს ღიმილს დაველოდები,  
ბოლო ჭიქამდე გამოვთვრები, როგორც ავარა,  
ასე თვრებიან საცოდავი ქუჩის ლოთები.

\*\*\*

ნეტავ, ჩიტივით შემეძლოს ფრენა,  
ტოროლასავით შევასკდე ზეცას  
ნეტავი, ვიყო მინდვრის ყვავილი  
და ალისფერი ყაყაჩო მეცვას.

\*\*\*

ლექსი იბადება ნაზად და უჩუმრად  
დიდხანს იტრიალებს ქარში,  
მერე შემოჯდება სადღაც ვერხვის ტოტზე  
და ატირდება ცრემლებით ბავშვის.  
ქარი რას დაგიდევს, სულ არ შენუხდება  
ვერხვი კი ცახცახებს, კრთება,  
რადგან სიყვარული ტოტზე შემომჯდარა  
ცრემლად დაღვრილა და კვდება.  
დიდი სიყვარული, დიდ ლექსად იქცა და  
მოკვდა სიყვარულის ფეხვი,  
ვერხვი შეინახავს მასზე მოგონებას  
ფურცელზე დარჩება ლექსი.  
ამ ციდა ქალალდზე რჩება მოგონება  
რისი დავიწყებაც არ მსურს,  
და თუკი მომავალს არავინ მპირდება  
ვერავინ წამართმევს წარსულს.

\*\*\*

მე შენთვის ავანთებ ახალ მზეს,  
მე შენთვის სამყაროს შევცვლი.  
შენა ხარ ჩემთვის ყველაფერი  
არ მინდა ოქრო და ვერცხლი.  
მე შენთვის ვიმღერებ მელოდიას,  
ჩიტები შეწყვეტენ სტვენას,  
გიჩვენებ ღმერთების საუფლოს,  
გაჩუქებ ვარსკვლავთა ცვენას.  
მკერდზე დაგიბნევდი მარგალიტს,  
ფეხებთან გაგიფენ დილას,  
მანდილს მოგიქარგავ ოცნებით,  
გინდაც გამანნავდე სილას.  
მე შენთვის წმინდა მთას ავაგებ  
სალოცად უბედო ბედის,  
ეს ჩემი სიმღერა დარჩება  
სიმღერად მომაკვდავ გედის.

\*\*\*

ქალი მოდის რუსთაველზე და ჭადრები თრთიან,  
ვარდი ყვავის, „ბულბულები გალიაში ზიან“.  
თუ მზის ნაკოცნ მუხლისთავებს დაუგიათ მახე,  
ვინ უმღერის ნატერფალზე იებს, მე რომ ვნახე.  
ქალი მოდის რუსთაველზე... სიოსავით მივდევ,  
მუდამ ვეტრფი ლამაზ ქალებს, შემიძლია ვიდრე —  
ვიდრე თვალი მიჭრის ისევ, გული მიცემს მკერდში,  
დარჩებიან ლამაზები ამღერებულ ლექსში.

## ეს ორი წუთი

სად არის წამი —  
წუთი სად იწყებს ათვლას,  
ამქვეყნად ალბათ,  
პასუხი არვის არ აქვს.  
იკითხავ, — რატომ,  
ან რისთვის გავჩნდით ნეტავ;  
ან რა იმედით  
ლაპარაკს ვბედავ ღმერთან.  
ეს ერთი წუთი,  
რასაც სიცოცხლე ჰქვია.  
წავიდა ისე,  
როგორც ნასროლი ტყვია.  
ეს ერთი წუთი,  
ბეწვის ხიდზე ხარ კაცი.  
ეს ერთი წუთი,  
ეცადე, კაცად დარჩი.

\*\*\*

იესო ქრისტე ჩამოსულა ზეციდან ფეხით  
და მოწყალებას მუჭა-მუჭა გზად მოარიგებს,  
ანგელოზებითან დასდევენ ჩემს ზიარებად  
არცა სიმშვიდე, არც სილურჯე, არა სიკვდილი.  
არცა სიცოცხლე, განსვენება, არცა გოდება  
ქრისტე იესო ეს მეორედ ესტუმრა მიწას.  
განმეორების მაქვს შეგრძნება სულთა სულისა,  
თუ ვით იესოს — მე ერთს მერგო განმეორება.  
მე ვის ველოდო, მე ვით ველოდო, მე რად გელოდო.  
მე არად მწამდა და მაინც მწამდა,  
ნამებად ჩემად გაჩნდი მიწაზე  
და მეც ვენამე, ნამებას ვუძლებ.  
შენ კი შორს ჩანხარ, ისე შორს ჩანხარ,  
ვითარცა ცხენით წმინდა გიორგი.  
ხომ მოდიოდი, რომ მოდიოდი, რად მოდიოდი,  
რად მოდიოდი, ანგელოზებს ფრთებს რად ამტვრევდი.  
იესო ქრისტეს ჩემს მაგიერ ზიარს ართმევდი  
და მოწყალებად ნაბოძები დამკარგე მაინც,  
დამკარგე ისე, ჩიტები ბუდეს კარგავენ როგორც,  
დამკარგე ისე, ნაწვიმარზე ფერთა თამაშით.  
და შენ ერთობი, თუკი ამას გართობა ჰქვია,  
და კარგულ ფერებს, მოწყალებას, ნათელს უფლისას,  
ღმერთის სიყვარულს, ცოდვის ცოდვას და ანგარებას,  
ვხედავ მე შენში და ვერ ვარჩევ, მანდ რას ვეძებდი.  
შენი სული ისე დაცლილა, რომ არ ველოდი  
და თუკი იყო ოდესმე სავსე, რად აღარ მახსოვს.  
მე ყველაფერი დავიწყების მივეცი ტალღებს  
ამ გზებზე მავალს მაინც შენი მქვია სახელი.  
და ქრისტეს მაინც შენს სახელზე ვთხოვ მოწყალებას,  
შენ კი კვლავ მეტყვი „არ მიყვარხარ, მე მებრალები“!  
თუ სიგიურმდის შენს ფიქრებში წასულს მათოვდა,  
ახლა გზა ვნახე, შენს იქითაც მიძევს სავალი.  
და აღარ მათოვს ჩაფიქრებულს — გამოვიცვალე!  
ჩემს თვალთახედვას წინ არავინ არ ეღობება.  
გზაა მრავალი და ამ გზებზე დავალ მე მარტოდ,  
არც მეშინია, გეფიცები, არ მეშინია!  
მე მარტობა მხოლოდ სულის თუღა შემაკრთობს  
და შენი ფიცად ნაჭდევი ხეზე,  
ბოლო გზა ისევ მოგიყვანს ჩემთან!

\*\*\*

მინდა, რაღაცამ გამართოს ისე,  
რომ დამავიწყდეს ქვეყნად ყოველი,  
რომ გამოვექცე ფიქრებს არეულს  
გზას მინათებდეს შუქი ცხოველი.  
მინდა, გზატკეცილს ხელი ჩავკიდო  
და მტკვრის ნაპირის ვიხმო ქარები,  
რომ დამიწყნარდეს გული მდუღარე  
და დავინახო შენი თვალები.  
შენამდე მოსულს, ამაყად მავალს,  
თუ ჩამიკალი გული პატარა,  
დიდი გრძნობების ფერფლად ვიქცევი  
დამნაშავეა შენი ჭაღარა.  
ასე პატარა სიცოცხლის პატრონს,  
პეპელასავით დამცვივა ფრთები,  
გნატრულობ ისე, არც ვიცი, სად ხარ,  
დაგინახავ და ბავშვივით ვკრთები.  
რით ჩამისახლე გულში აისი,  
რით გააღვიძე გულში სატანა,  
ამდენ სიმძიმეს ვატარებ მხრებით  
არ შემიძლია შენი ატანა.

\*\*\*

როცა ჩემს სიკვდილს ახრჩობს სიცოცხლე  
და როცა აჩრდილს მივდევ ყიუინით,  
როცა შენს თვალებს ვეძებ ქუჩებში  
და შენს ხსენებას ვებრძვი გიუივით.  
როცა სიცივე სისხლს ვერ ერევა  
და თვალებს მივსებს ფერი თვალების,  
როცა სავსეა გული ეჭვებით,  
გული მელევა როცა წვალებით.  
შენ ჩემი სულის იქეც იარად  
და მხოლოდ ერთხელ თუ მღერის გედი,  
ჩემი სიცოცხლის შენ ხარ დარაჯი  
მე არც სიკვდილში მქონია ბედი.  
მგონია, ზეცას შევძრავ კივილით

დავლენავ ქვეყნად ყველა კარიბჭეს,  
თუ სხვას შეხედავ ჩემი თვალებით,  
თუ ჩემი გულის მონად არ იქეც.  
მაშინ გავყვები ბოშათა ბანაკს  
და სიყვარულის ვისწავლი ლოცვას.

\*\*\*

შემოდგომას სცვივა ოქროს ფოთლები  
და ზამთარი უკითხავად მოდის,  
შენს ლოდინში გამერია ჭალარა  
გელოდები, როდის მოხვალ, როდის!  
რა გაუძლებს უშენობით ამ ზამთარს,  
რა აიტანს სიცივეს და ყინვებს,  
სად გავექცე სიზმრად ნახულ ურჩხულებს,  
სად გავექცე შენს ღამეულ ხილვებს.  
შენი ხელით შემეხება ნიავი  
შენი ხელით გადამინევს თმას,  
ფიფქიც შენი სუნთქვით დნება ბაგეზე,  
რა შორსა ხარ, ველარ გაწვდენ ხმას.

\*\*\*

როგორ იქნება, შენ არ გიხმობდე,  
შენ არ გიხმობდე, როგორ იქნება.  
როგორ იქნება, ვიყო ცოცხალი,  
არ მოგიკითხონ ჩემმა ფიქრებმა.  
როგორ იქნება, მწამდეს სიცოცხლე,  
ისიც უშენოდ, როგორ იქნება,  
როგორ იქნება, შენ არ გიხმობდე,  
შენ არ მოგძებნონ ჩემმა ფიქრებმა.

## არაგვის ხევს

მე რომ მქონდეს სივრცეები დიდი,  
დავდგებოდი მთებზე, ფრთებს გავშლიდი.  
გადვიდოდი არაგვის ხევს, გაღმა  
წყალწითელას ჭალის ხმებს ვეყმიდი.  
ვიდექ მარტოდ,  
მე ყოველთვის ვდგევარ მარტოდ... და ფიქრები მერეოდნენ,  
ჩავცქეროდი არაგვის ხევს გადარეულს,  
წყალს მშფოთვარეს და არეულს ჩემი ფიქრიც მიჰყვებოდა.  
წყალს ვატანდი ძვირფას ფიქრებს წლებით ნატანჯს,  
არაგვის ხევს მივაპარე რაც მებადა.  
დაენახა, იქნებ ვინმე მიხვდებოდა,  
ის ფიქრები არწივისებრ ფრთებსა შლიდნენ,  
თითქოს წყალს არც მიჰყვებოდა,  
არაგვის ხევს შეეხიზნენ.

\*\*\*

ცა ანგელოზთა სახეებით სავსეა თითქოს,  
მე კი იმათგან მხოლოდ ერთის თვალები მიპყრობს,  
ო, არა, არა ანგელოზი შენ სულ არა გვავს,  
შენს თვალებს ქვეყნად შედარება მართლაც არა ჰყავს.  
იცი? მე ჩემს ბედს მივემსგავსე, ის ცის ფერია,  
და ის ცა, ისევ შენი ფერია.

\*\*\*

ნარჩევ ვარდებში რად გირჩიე, თვითონ არ ვიცი,  
ველური ვარდის რად მაბრუებს მაინც სურნელი,  
არც ერთი სიტყვა აღარ მახსოვს შენი ნათქვამი  
და საუკუნის მაკრთობს სენი განუკურნელი.  
სულ გავქელავდი ქვეყანაზე უცხო ყვავილებს,  
რომ დარჩნენ მხოლოდ ჩემი მწველი ველის ვარდები,  
რამდენიც ვცდილობ შეგაჩვენო და დაგივინყო,  
თითქოს პირველად სიცოცხლეში შენ მიყვარდები.  
შენ გაახუნე ჩემში ყველა მუქი ფერები  
და ახლა ჩემი სული მშვიდი, შენი ფერია

და რომ არ გერქვას ვარდი მაინც ველთა მფლობელი,  
ვიმღერდი შენთვის, როგორც სხვისთვის არ მიმღერია.  
ვერ დავიჯერებ ან რად გინდა ჩემი სიმღერა,  
ველზე ბულბულებს რა გამოლევს, ყველა შენია,  
ისიც მეყოფა, რომ მაისმა ვარდი მაყარა  
და ამის შემდეგ გლოვის მეტი რა დამრჩენია.

\*\*\*

ჩემს თანამგზავრად, ვარსკვლავად ცაზე  
გირჩიე და ნუ დამემალები,  
შენი თვალების მწვავს შუქი მხოლოდ  
და თუ მაცოცხლებს — შენი თვალები.  
დავკარგე რწმენა მთელი ცხოვრების,  
თავიც დავკარგე და არც კი ვგლოვობ,  
ამ ქვეყანაზე ყველაფერს დავთმობ,  
ყველაფერს დავთმობ — შენ არა მხოლოდ!

\*\*\*

შენ რომ გიხსენებ, სიმღერა მესმის  
მქრქალი სხივების ბრძოლით,  
გზაზე გაბნეულ ფიქრებს ვაგროვებ  
მოდით, ფიქრებო მოდით.  
კვლავ ველოდები, წვიმას შხაპუნას  
იქნებ, გავუძლო ლოდინს,  
მითხარ — არ მოხვალ? და თუკი მოხვალ,  
როდისღა მოხვალ, როდის!

\*\*\*

რა ვქნა, თუ ახლაც არ გამიმართლა  
და ჩემს ოცნებებს დაედო ზღუდე,  
სადაც ვაგებდი მტრედების საფარს,  
თუ იქ ყვავებმა დაიდეს ბუდე.  
მე ვის შევჩივლო ვარამი ჩემი,  
თუ შენ შორსა ხარ და ველარ მათბობ,  
როდემდე ვიდგე ეული ზღვასთან,  
როდემდე ვდიო თოლიებს მარტომ.

\*\*\*

ვიცი, მჯერა, კვლავ მომიხმობ შენსკენ,  
ვიცი, მჯერა, კვლავ ბევრ სასმისს დასცლი,  
ვიცი, მჯერა, კვლავ მინატრებ შემკრთალს  
თუ საწუთო ცოტას კიდევ გაცლის.

ვიცი, მჯერა, უჩემობა განამებს  
და უდაბნოდ გეჩვენება მიწა,  
ვიცი, მჯერა, სიმღერებმა დაგლალეს  
და ერთადერთ სალოცავად მფიცავ.  
ეს ქვეყანა შენით არის ლამაზი  
და წამები შენს სახელზე ცვივა,  
შემოდგომის მზე განელდა უშენოდ  
მომენატრე და ძალიან მცივა.

აღარ მახსოვს შარშანდელი ზამთარი,  
დამავიწყდა წინანდელი სიცივე,  
ბეღურების ნაღვლიანი უღურტული  
და თვალებზე ცრემლი ობლად ციმციმებს.  
დამავიწყდა, თუკი შენით ვხარობდი,  
აღარ მახსოვს, აღარ მახსოვს, არა,  
ისევ ძველი შემოდგომა გვარიგებს  
და ამდენი განშორება კმარა.

ვერ გავუძლებ შემოდგომას უშენოდ,  
ვერ გავუძლებ ფოთოლცვენას დარდიანს,  
ვიცი, ვხედავ, მე ვარ მხოლოდ ეული  
და ქუჩაში სულ წყვილები დადიან.

შემოდგომამ არც ბუნება დაინდო  
და ფოთლები ყვითლად შეაფერადა,  
თითო თითოდ ჩამოკრიფა ხეებზე  
გადაფანტა, გადაფანტა ველადა.  
ჩვენი გზებიც შემოდგომამ გაყარა,  
რა საბრალოდ ჩამოვეშვი ტოტიდან,  
შენც მოგწყვიტა, გადაგაგდო სხვა მხარეს,  
გელოდები, გელოდები როდიდან.  
მაგონდება, როცა ერთად ვიყავით,  
ვერაფერი გვაშორებდა, ვერა,  
გვატირებდა ცვარის ცრემლით დილის მზე

და გვინდოდა შუალამეს მღერა.  
ყველაფერი შემოდგომამ წამართვა  
და ყველაფერს მხოლოდ მისგან ველი,  
შემოდგომავ, გევედრები ძალიან,  
დამიბრუნე მეგობარი ძველი.  
გამიხუნდა თმების ფერი გიშერი  
და თვალები ცრემლისგან მაქვს სველი,  
შემოდგომავ; დაჩოქილი ვლოცულობ,  
დამიბრუნე ისევ ყველაფერი!

\*\*\*

სულში მიკვნესის სიცარიელე  
და ცოდვილივით მიმძიმს ლოცვები,  
საბრალო გულის გესმის ოხვრები,  
მაინც მანამებ, არ გეცოდები.  
გინდა — წაიღე, ხორცი გაყიდე,  
გინდა — წაიღე, გული დაფლითე,  
ოღონდ შეიგნე, სანუთრო ჩემი  
ისე მცირეა, როგორც სათითე.  
და თუკი გული საგულეს გიცემს  
გთხოვ, ნუღარ მეტყვი ტყუილად ფიცებს,  
თორემ როგორც სხვას, წაიღებს ქარი,  
ვინ დააბრუნებს და დაამტკიცებს.

\*\*\*

რა წახატია, სულში ხატია  
და ჩანწეხილი გოლგოთა, რიდე  
ზე აღუპყრია ორივ ხელები,  
იტანჯებოდე და ცრემლებს ღვრიდე.  
სულში ქარია, ქარიშხალია  
ხეში ქალია და მიხარია,  
გამოუცხობი სევდით აღვსილვარ  
და მიხარია; საოცარია.  
მე მეჩვენება ჩემთვის ლოცულობს  
ქალი ღალადით, თავმოკვეთილი,  
ასე სასტიკად რომ დაუსჯიათ  
და სული დარჩა მაინც კეთილი.

## საზამთრო

ათიოდე წლის ბიჭი აზმუვლებულ ნახირს კვალში ჩასდგომოდა და ძილაყოლილი ნაბიჯით ნელ-ნელა მისდევდა, თვალებს წამ-დაუწეულ იფშვნეტდა, აქეთ-იქით იყურებოდა — პირის დასაბან გუბეს თუ ეძებდა. აი, მონახა კიდეც. ჩაიმუხლა. პატარა, გამხდარი ხელებით წყალი ამოიღო გუბიდან და პირზე შეისხა. ეამა გრილი წყალი. ცოტა ხანს ასე იყო ჩამჯდარი, ჩაეყო წყალში ორივე ხელის მტევანი და გარინდული უსმენდა დილის ხმებს. მერე ერთბაშად გამოერკვა. სველი ხელები სამადლო შარვალზე შეიმშრალა და კვლავ ძროხებს გამოუდგა.

კიდევ კარგი, ნახირი არ იყო მინდორს უჩვევი; თვითონ მოძე-ბნიდნენ გრილს, როგორც კი ჩამოსცხებოდა, დაეყრებოდნენ სადმე, თელების ძირში და ზანტად იცოხნებოდნენ. მათ შემყურეს, ბიჭსაც რული მოერეოდა და ჩასთვლემდა. ასე ალახ-მალახ სიზმრებსაც ნახავდა, ლამაზ სიზმარს, რომელსაც რეალობასთან არავითარი საერთო არ ჰქონდა.

გაივაკა მზემ, კარგა ხანია ხევებს გადაუარა და თურაშაული ვაშლივით, სადღაც ხის ტოტზე დაეკიდა. ბიჭმა ნახირს წამოუარა და სოფლისაკენ დააბრუნა. ორვილის პირზე ფონს ეძებდა თვალით. წყალში ჭყუმპალაობდა მთელი სოფლის ბიჭობა. მან გაბურძგნული თავი მოიქექა და დიდი ადამიანივით ამოიხრა.

პატარა, ფეხშიმველი გოგონა იხვებს უჯავრდებოდა, რომლებსაც არაფრით უნდოდათ წყლიდან ამოსვლა. ბიჭი მიეხმარა. გუნებაში გადათვალა აფრიათებული და ერთმანეთის უკან ჩამდგარი იხვები: ერთი, ორი... შვიდი; შარაგზამდე გააყოლა თვალი ჭუკების ქარავანს.

მიდენა როგორც იყო მესერთან საქონელი და ხმადაბლა დაიძახა: — ჰელო დეიდა! თან საჩეხთან დაბმული ნაგაზისკენ ჰქონდა თვალი, რომელიც ავად ელრინებოდა და არაფრად დაგიდევდათ ბავშვის უმწეობას, ობლობას, სიცივესა და შიმშილს. ცხვირში მოუღიტინა ახლადგამომცხვარმა პურის სუნმა. ღრმად ჩაისუნთქა, დააპირა ერთხელაც დაეძახა, რომ კუტიკარი გაიღო და ჰელომ ორი ცხელი პური შარაზევე მიაწოდა. ბიჭმა ჰერანგში ჩაილაგა პურები და ცრემლჩამდგარი თვალები მჯილით ამოინ-მინდა.

მიდიოდა პატარა ბავშვი დიდი ფიქრებით და მადლიან ხალხზე ფიქრობდა: აკი, იმ დღეს უთხრა პელომ, — ჩემი მიხა როგორც მომივა ქალაქიდან, შენთვის ქალამნებს ამოვასხმევინებო. განა მიხას კი წულამესტების ქარხანა ჰქონდა; ერთი ქოსმენი ღორი ებათ პანტის ძირში და მთელი უბნის ბიჭობას ფეხის ძირები ექავებოდათ იმ ღორის დანახვაზე, შობის დადგომას უცდიდნენ, როცა მიხა ქალაქიდან მოვიდოდა, ღორს დაკლავდა, ღორის ტყავისგან კი მადლიანი მარჯვენით ქალამნებს ჩაუწიკნიკებდა.

ფიქრებში წასულს, საიდანლაც ჯერ ურმის ხმა მისწვდა, მერე მეურმის ურმულიც გაიგონა, ცოტა ხანში კი კამეჩების ურემი წამოეწია და ბიჭმა თვალებს არ დაუჯერა — ურემი სულ ხასხასა, დაორთქლილი საზამთროთი იყო სავსე. მეურმეს გვერდზე ტიკი მოეგდო და მეურმე და ტიკი ერთმანეთს დამსგავსებოდნენ.

მეურმემ შეამჩნია, ბავშვი პირლია რომ მისჩერებოდა წყობისად დალაგებულ საზამთროს და ცალი თვალი ცხელი პურისაკენ წაუვიდა.

— რა იყო, ჯოო! ყალფუზი არ გინახნია?! ამო, აარჩიე; ერთი ცალი ერთი პური, ორი ცალი ორი პური!

დაუფიქრებლად გაუწოდა პატარამ მთელი დღის მონაგარი სარჩო მეურმეს, თავისი წვრილი, გალეული ხელებით.

მეურმემ ერთხანს არჩია საზამთრო კოტიტა თითებით და ბოლოს, ორი, ბურთივით მრგვალი საზამთრო მიაწოდა. მიდიოდა ბიჭი თავდაღმართზე, პირში უკვე გრძნობდა საამო გემოს და წინასწარ ტკბებოდა...

მდინარესთან ჩაჯდა და ქვა აიღო; ნაპირიანი გვერდი დაჰკურა საზამთროს და გადაჩეხა... შიგნით თეთრი იყო, ბამბასავით, მხოლოდ შუაგულში ეტყობოდა ვარდისფერი ოვალი. გაჩეხა მეორეც, იგივე იყო იქაც. მერელა მიხვდა, რად არჩევდა მეურმე იმდენ ხანს საზამთროს.

წამოვიდა შინისაკენ ფეხათრეული, განა მოუხაროდა?! არა, უბრალოდ ნაგვემ-ნაშიმშილებ სხეულს მაინც მოასვენებდა სადმე კუთხეში მიგდებული. შევიდა შინ, კერიასთან ატუზულ ხატაურას ფეხი წაჰკურა, ჩალა ააბუა და ნაკლული ტომარასავით მიეგდო. დიდხანს ცდილობდა დაძინებას, მაგრამ ცარიელი მუცელი მოსვენებას არ აძლევდა. ხოლო, როცა მთვარემ არემარე გაანათა, წამოდგა და წყნარი ნაბიჯით ორვილის პირს ქვემოთ დაუყვა.

აგერ, იცნო ის ადგილიც, დიდი თეთრი ქვა, ნახევარი გვერდი რომ წყალში უდევს, აქ იჯდა, აქ გაჩეხა საზამთროები, დაიხარა, მონახა ნაჩეხები; წვრილი ბურნა და რაღაც მწერები დახვეოდნენ, ბიჭი იღებდა ნაჩეხებს სათითაოდ, ქვაზე ბერტყავდა, წყალში რეცხ-ავდა და სულმოუთქმელად ხრავდა, როგორც რაიმე გემრიელ ნუგბარს. სული მოითქვა და ნელ-ნელა გაუყვა გზას შინისაკენ. მთვარე საკმაოდ ანათებდა ქვეყანას, მაგრამ რა ექნა, ის ხომ ჯერ კიდევ ბავშვი იყო.

მოვიდა სახლში, ჩაწვა ჩალაში და მეორე დღეს, თუმცა ესმოდა მეზობლის ღობეზე შემხტარი მამლის თავგანწირული ყივილი, ადგომა აღარ ეწადა. ხვდებოდა ალბათ, რომ ასეთი იმედგაცრუება მრავალი შეხვდებოდა ცხოვრებაში; გაუჭირდებოდა მღვრიე მორევის გაცურვა, ფეხზე დადგომა ისე, რომ თავი ადამიანად ეგრძნო.

## იპ

— ვაი, ვაი, როგორ მცივა.  
— რა მოგარბენინებდა მერე.

ჩაილიკლიკა ნაკადულმა მხიარულად და გზა განაგრძო. ამ დროს ბუჩქის ძირას მზის სხივი მოხვდა; ტკაც! გასკდა უცებ კვირტი და ია გადაიშალა.

— ვიშ! გენაცვალე, ეს რა ლამაზი კაბა ჩაგიცვამს; შემოსძახა წყარომ, ქვიდან ქვაზე შეხტა და ტაში შემოჰკრა.  
— ფრთხილად გეთაყვა, კაბა არ დამისველო! ნამიანი, ფოფინა თვალები შეანათა იამ წყაროს და კოპწია კაბაზე დაიხედა. ბუნება იღვიძებდა.

მიწა ფეხთქავდა, დედამიწა.

## ნაძვი

ქვიანი აღმართი ავათავე და ბილიკს მივყვები, მერე ბილიკიც იკარგება და ნაკაფი იწყება. აქა-იქა ყრია ნასხეპი ტოტები, გადაჭრილი ხის ძირები. უუნარობას მსაყვედურობენ. ჩიტების ხმაც არსად ისმის, ხეც არსად არის ახლო-მახლო, მათ დასაჯდომად, შესასვენებლად. თვალი გავაყოლე ნაბილიკარს, გზა გავაგრძელე. შეყვითლებული ასკილის გვერდით პატარა, მწვანე ნაძვი ვი-

პოვე. იდგა, შემომყურებდა. ორი პანია ტოტი გვერდზე გაეწია და თითქოს პატარა ბავშვივით ატატებას, მოფერებას მთხოვდა. დავიჩოქე, მოვეხვიერ, გულში ჩავიკარ. ნამიანი ჰქონდა პატარას ტოტები, თუ მე ვტიროდი და დავასველე, ვეღარ გავიგე. მოვდიოდი გზაზე, ვიყურებოდი ირგვლივ, ვხედავდი შორს ტყებს, მონავარდე ჩიტებს და მენანებოდა პატარა, უმწეო, თითისტარა ნაძვი მარტოობისთვის.

## გამხმარი ხეები

არ ვიცი, რატომ, მაგრამ დიდი ხანია გამხმარი ხეების მიმართ გრძნობები შემეცვალა, მე მათ ვერ აღვიქვამ მკვდარ არსებებად. ხე, ვიდრე ფეხზე დგას კიდეც არსებობს, ცოცხლობს. იგი თუნდაც გამხმარი, ჩიტების შეუცვლელი მეგობარია. ამწვანებული არემარე კაცის გულს ახარებს, ახალისებს. შეგვხვდება სადმე გამხმარი ხე და ამ წუთისოფლის ამაოებაზე დაგვაფიქრებს, შენში მოკრძალებას, პატივისცემას იწვევს. არიან ზვიადები და დიადები; გამხმარი ხეები, როლებიც ცოცხალ ობელისკებად შემორჩენია დედამიწას, თითქოს ძეგლს უდგამენ ბუნებას.

ზოგი ვერ უძლებს უამთა სვლას და წამოწვება მხართეძოზე, წაიქცევა, მაგრამ არსებობს, არ ეპუება სიკვდილს. სიცოცხლეს აგრძელებს და დასცინის ცოცხლებს, რომლებსაც სიცოცხლე ტვირთად დასწოლიათ.

## თოჯინა

ფუცა ერთი უბრალო ფეხმოტეხილი თოჯინაა და მეტი არაფერი. წუცამ თავისი საყვარელი თოჯინა ჯერ ძირს ათრია, შემდეგ კი კარადას შემოსცხო.

დაიშალა ფუცა ნაწილებად, აღრიალებული ბავშვი კი მოახლეობ სააბაზანოში გაიყვანა.

ცოტა ხანში კარი გაიღო და ოთახში ვიღაც შემოვიდა. ხელში აიყვანა საბრალო ფუცა, თავი მოარგო, კაბა შეუსწორა და თაროზე დასვა.

ფუცამ თვალი გაახილა. მიმოიხედა. მის გვერდით ერთ დროს საამაყო თოჯინები და სათამაშოები აწერდა შენებულ ცხოველებს და მსგავსებოდნენ.

კედელზე რომელიღაც რუსი მწერლის პორტრეტი ეკიდა. სათვალიანი ბიძია მშვიდად უცქერდა იავარქმნილ თოჯინებს. ჩანდა, რუსული აღზრდა სრულიად ითვალისწინებდა შექმნილ მდგომარეობას.

ფუცამ ახლა ზედ დაიხედა, შეკეცილი კაბის გასწორება სცადა და კინალამ შეჰყვირა — ერთი ფეხი აღარ ჰქონდა. ძირს ჩაიხედა... იქნება თვალი მოვკრა სადმეო და ზღართანიც მოადინა.

ხმაურზე მოსამსახურე შემოვიდა, ნახა ფუცა იატაკზე გაშოტილიყო. მან ხელი მოკიდა ფუცას დაკუჭულ კაბაზე და ოთახის კუთხეში მდგარ მოზრდილ ყუთში გადაუძახა.

ეტკინა ფუცას, არა, არა, მოტეხილი ფეხი ან დაბეგვილი გვერდები კი არა — გული ეტკინა, გული, რომლის არსებობაც ნუცამ კი არა, ფუცამაც ახლა გაიგო. გაიგო და არც გახარებია...

ის ხომ მხოლოდ ფეხმოტეხილი თოჯინა იყო და მეტი არაფერი...





კერძად წავედი,  
შემოვიჩი ქალაქს,  
აქ მიტოვებულ  
საფლავებს ვუვლი!

